„ღმერთო, საშობლო მიცოცხლე, მძინარეც ამას ვდუდუნებ!“

კავკასია
kavkasia

ეროვნული, ლიტერატურული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი №1-2 (83-84) იანვარი-თებერვალი 2016 წელი ფასი 1 ლარი

გაძარცული ტყეები

გვ. 6

კაი ყმა

გვ. 2

ლოლო მემო და... მისი ლეგენდარული შვილიშვილი

გვ. 2



ნოდარ არდოტელი

ექვთიმე თაყაიშვილს

ბეწვის ხიდზე სიარული
ქუდბედად დაგყოლია,
საქართველოს სიყვარული,
ცად წასული თოლია!

კრთომა-კამკამს ვარსკვლავების
ლევილის ცა ირეკლავს.
ვით შეიზლო გამკლავება
გულმა ამდენ ნარ-ეკლის?

ალბათ სული მტკიცე გქონდა,
როგორც ჯაჭვის პერანგი.
ლხინი ცოტა, ჭირი? ჰოდა,
მტერი გდევდა ვერაგი.

ვერ დაგცეს და ვერ გაგტეხეს
ციხე ნადუღაბარი.
ო, გავარდა, როგორც მეხი
შენზე დიდი ზღაპარი.

ცას ნატრობდი, ფერანკარას
და ავიხდა ოცნება,
მაგრამ ბედმა არ გაკმარა
და უმალვე მოგცელა.

მზვაობართა მახვილნახებს,
წლეთადენით დაკოდილს
რა გიმღერო? — დამანახე
სხვა სამოთხე, სხვა კორდი,

რომ მოვმართო მიზრაფები
შენი შესამკობარი,
საქართველო შეგავედრო
ღმერთის ნაწილმხვდომარი.

შეუმკია იებს არე,
მათი ხიბლი დავიცავს,
მშობელ მიწას მიებარე
შენს ერთადერთ საფიცარს.

ვაზი – ქართველის სიამაყე

საქართველო კულტურული ვაზის ერთ-ერთი ძირითადი გენეტიკური ცენტრია, სადაც მრავალფეროვანი ბუნების წიაღში ვაზის ფორმა და ჯიში არსებობს.

ამჟამად საქართველოში ვაზის 500-მდე ჯიში ხარობს, მისი პროდუქცია თავისი უნიკალურობით ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ გადის. ვაზი საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ნიშანსვეტია, ქართველი ერის სიამაყე და მშვენებაა, ჩვენი ჭირისა და ლხინის თანაზიარი და ეკონომიკის საფუძველი. ქართველი ერის მატერიალური და სულიერი კულტურის საგანძურში ვაზს დასაბამიდანვე ეკავა გამორჩეული ადგილი.

ვაზი, ეს უნიკალური ფენომენი, ქართველისათვის მარტო საარსებო წყარო როდია; ღვთაებრივია მისადმი სიყვარული, რომლის ახსნა მისი მიზეზობრივი ასპექტებით, ფილოსოფიის სფეროს მიეკუთვნება.

იესო ქრისტე ამბობს: – ვაზი – მე ვარ, კვირტები – ჩემი ხალხი, ღვინო – ჩემი სისხლია, პური კი – ჩემი ხორცი.

მევენახეობას საქართველოში უფრო შორეული წარსული აქვს, ვიდრე სხვა ქვეყნებში, ქვემო ქართლის ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი ყურძნის წიპწეპი, ძვ. წ. მე-7 ათასწლეულს განეკუთვნება და ენეოლითური პერიოდით თარიღდება. ჩვენს ერამდე მე-6 ათასწლეულს განეკუთვნება ანაკლიაში აღმოჩენილი წიპწები, რის შედეგადაც დასტურდება, რომ ჯერ კიდევ ნეოლითის დროს, როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში კარგად იცნობდნენ ვაზის კულტურას. აქვეა კულტურული ვაზის წინაპარი გარეული ვაზი, – უსურვაზი, რომელიც დღეს განსაკუთრებულ იშვიათობას წარმოადგენს. გარდა ამისა, საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილია იმავე ხანის მარანი, სადაც ღვინის შესანახად განკუთვნილი უზარმაზარი, მიწით დაფარული თიხის ქვევრებია. ნაპოვნია აგრეთვე ოქროს, ვერცხლის და ბრინჯაოს ფიალები. მევენახეობის განვითარების დონე ანარეკლი იყო ყოველთვის ქვეყნის პოლიტიკური და სოციალური მდგომარეობისა.

მევენახეობის დარგში ქართველი ერის შემოქმედებითი საქმიანობა უსაზღვროა, ამის დასტურია ქართულ მიწაზე ჩვენი წინაპრების მიერ გამოყვანილი და გამორჩეული ვაზის ჯიშების ხელახლა გაშენება – მოვლისა და ღვინის დაყენების ორიგინალური წესები და ტექნოლოგიები.

საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობაზე, ქართული ვაზისა და ღვინის ისტორიაზე ქართველი და უცხოელი მკვლევარების მეცნიერებისა და მოგზაურების მიერ მრავალი საინტერესო სამეცნიერო ნაშრომი და წიგნია შექმნილი.

ქვეყნის მრავალსაუკუნიანი ისტორიის მანძილზე, ისტორიულ-ეთნოგრაფიულ კუთხეებში, რომლებიც საოცრად ემთხვევა მევენახეობის გავრცელების არეალებს, მრავალი შესანიშნავი ტრადიცია ჩამოყალიბდა. ყველაფერი ქართველი გლეხკაცის შრომისმოყვარეობამ და ბუნების მრავალფეროვნებამაც განსაზღვრა. მართლაც, ღვთისშობლის წილხვედრ ქვეყანას თუ ერგებოდა ასეთი სამოთხისმაგვარი ბუნება.

სწორედ საქართველოს ამ ეთნო-გეოგრაფიულ კუთხეებში შეიქმნა, განვითარდა და ჩამოყალიბდა ვაზის მრავალსაუკუნოვანი და, რაც მთავარია, თვითმყოფადი, თითოეული რეგიონისათვის დამახასიათებელი ჯიში, გამორჩეული მაღალი ღირსებით.

აკად. ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ ქართული ვაზის ყოველი ჯიში ისტორიული ძეგლია, მის შექმნაზე და ჩვენამდე მოტანაზე ქართველ კაცს დაუხარჯავს იმაზე მეტი შრომა, რაც ერთად აღებული ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლების (ბაგრატის, ნიკორწმინდის, სვეტიცხოველის, ალავერდის, გრემის, იყალთოს...) მშენებლობაზე.

ჩვენი ვალია, შევინარჩუნოთ და დავხვეწოთ ვაზის ძველი და ახალი ჯიშები და გადავცეთ მომავალ თაობებს.

„ჩვენი ღირსებანის“ მიხედვით

ლელო ბებო და... მისი ლეგენდარული შვილიშვილი

— ბატონო გივი, როგორ გახდით სრულიად ახალგაზრდა საბჭოთა პოლკოვნიკი?

— ძნელია, გითხრათ, მაშინ ჩვენს მაღალ წოდებებს მოსკოვი წყვეტდა რესპუბლიკის ხელმძღვანელობის წარდგინებით. ალბათ წარდგინებაში ჩემი ნამსახურეობის წარმატებები საკმარისი იყო პოლკოვნიკის წოდების მონიჭებისათვის.

— ბატონო გივი, როგორ ფიქრობთ, დღეს ჩვენ დამოუკიდებელი ქვეყნის შვილები ვართ?

—მსოფლიოზე ვართ დამოკიდებული, მსოფლიოზე და... უდიდესი ცივილიზაციის ერი — საქართველო (ვცეკვავთ გლობალისტების დაკრულზე), ამას ყველა ერი გრძნობს. ქართველი ერის გადაჯიშება უნდა ხელისუფლების გარკვეულ ჯგუფსაც.

XXX

ჩემი რესპოდენტის — **გივი მინდიკაურის** წინაპრების ადგილსამყოფელი ხევსურეთში სოფელი ხახაბო ყოფილა, ბატონი გივი დიდი მღელვარებით მიყვება: სოფელ ანდაქს რომ გაივლით, ხიდოტანის ზეგანზე გადახვალთ, **აწუნტის** მთას მიადგებით და დაეშვებით თუშეთისკენ მიმავალ მთაზე, აქედან კი თუშთა სოფლებში აღმოჩნდებით და ცენტრალურ სოფელ ომალოში.

ჩემი ლელო ბებო საოცრად მხიარული ქალი იყო, დაბალი ტანის თეთრ-მწითურა, ცისფერთვალება... და დიდი სურვილი მქონდა მას „დავფერებოდი". პაპა მჭედლა კი, მაღალი ტანის. მე პაპა მჭედელას დავდევდი ჯერ ინდაურების ჭუკების და მერე მთების იალაღებზე ცხვრის დევნით ვიყავი დაკავებული.

ინდაურების თუ ცხვრის მწყემსობისას ლელო ბებოს სულ ეძინა და როგორც პატარა ბავშვი ვაბრაზებდი და არ ვაძლევდი ძილის საშუალებას.

თავად ბატონი გივი მინდიკაური თიანეთის რაიონის სოფელ ალოტში დაიბადა სიყმაწვილე მწემსობაში გაატარა. მირზა გელოვანის სახელობის საშუალო სკოლა დაამთავრა, შემდეგ კი თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. იგი ჯერ თბილისის პოლიციის სამმართველოში სისხლის სამძებრო განყოფილებაში მუშაობდა, შემდეგ იქვე გადაიყვანეს კადრების განყოფილებაში, რა დროსაც შინაგან საქმეთა სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივნის მოადგილედ იდეოლოგიის დარგში იყო არჩეული. ამის შემდეგ კი, მას ქალაქის დღის მილიციის ჩამოყალიბება დაევალა. ამასთანავე მას როგორც კადრების მუშაკს დედაქალაქის საპატრულო საგუშაგოს სამსახურის ლეგიონის დაკომპლექტება ჰქონდა დავალებული, რაც დიდ პასუხისმგებლობას მოითხოვდა.

მალე დაიძრა ეროვნული მოძრაობის ტალღა...

— ბატონო გივი, დღეისათვის, რას ფიქრობთ თქვენ?

— მე მაინც ვრჩები, როგორც კომუნისტი და ჩემი სამშობლოს პატრიოტი. მჯერა ჩემი სამშობლოსი, მჯერა და ასეც არის ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა ვართ... ზუსტად ამ რწმენამ გადამატანინა ის ჩემი განვლილი ცხოვრება, რაც თქვენ ჩემი მონათხრობით მოისმინეთ... აქედან გამომდინარე, მწამს, როგორც ორმოცსაუკუნოვანმა საქართველომ მსოფლიო ცივილიზაცია შეინარჩუნა, მეც მეამაყება, რომ ამ მსოფლიო ცივილიზაციის ერთ-ერთი წერტილი ვარ, საქართველოს ორმოციათასწლოვანი კულტურის შვილი.

— კი, მაგრამ, როგორც თქვენ აღნიშნეთ, რატომ ბრძანდებით ცივილიზაციის წერტილი?

— ჩემო იზა! პირდაპირ შემიძლია გითხრათ, რომ მე ვარ მსოფლიო ცივილიზაციის ორმოციათასწლოვანი ქართული კულტურის ერთ-ერთი წერტილი. მე ხომ დავრწმუნდი მეცნიერების ანალიზის საფუძველზე, რომ **რამზესის** დედა **აფროდიტე**, ქართველი იყო.

მიკვირს რაზეა დავა, ჩვენი მოძმე ერებისა იმასთან დაკავშირებით, რომ დაობენ, ვინ როდის წარმოიშვა, ან კულტურა საიდან მოდის, ჰოდა, იქნებ ჰკითხოთ იმ ჩვენს ოპონენტებს თუ მხარდამჭერებს, თუ ჩემთან ამ თემაზე დავა სურთ, ან ქართული კულტურის სიძველეზე და მსოფლიო კულტურაში მის მნიშვნელობაზე, იქნებ ვიდაოთ...

გივი მინდიკაური თიანეთის რაიონის სოფელ ალოტში 1951 წლის 30 მარტს დაიბადა. დაამთავრა თიანეთის მირზა გელოვანის სახელობის საშუალო სკოლა. 1969-1978 წლებში მუშაობდა თბილისის ელმავალმშენებელ ქარხანაში. 1978 წლიდან შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაშია. 1981 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მუშაობა გააგრძელა შინაგან საქმეთა სამინისტროში.

გივი მინდიკაურის მეუღლის — ნუნუ ხოსიაურის ოჯახი დუშეთის რაიონის სოფელ ხახაბოდან გადმოსახლებულა თიანეთის რაიონის სოფელ ჩეკურაანთგორში. ქალბატონმა ნუნუმ წარჩინებით დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი. ამ საგანს თბილისის 172-ე სკოლაში ასწავლიდა. ამჟამად აღარ მუშაობს. ჰყავთ ტყუპი ქალ-ვაჟი — მირიანი, მირანდა და ერთი შვილიშვილი.

ლელო ბებო 1897 წელს დაბადებულა. იგი 14 წლის ასაკში გაუთხოვებიათ. მისი ქმარი პირიქითა ხევსურეთის სოფელ ხახაბოს მკვიდრი — მჭედელა მინდიკაური იყო, ცხრა შვილის მამა, რომელსაც ექვსი შვილი დაელუპა, სამი შვილიდან ერთ-ერთი ბატონი გივი მინდიკაურია.

დღეს ჩვენი გაზეთის სტუმარია თადარიგის პოლკოვნიკი, მთაწმინდა-კრწანისის ადმისტრაციული პოლიციის სამმართველოს ყოფილი უფროსი — გივი მინდიკაური. ეს ის დროა, როცა ჩვენი ქვეყნის ცხოვრების ურთულესი ჟამი იდგა და საქართველოს პოლიტიკური ბედი წყდებოდა. 1988 წლიდან 2005 წწ. ბატონი გივის პენსიაზე გასვლამდე.

XXX

დედაჩემისა და ლელო ბებოს ურთიერთობა იუმორით იყო შემოსილი.

დედაჩემს გააჩნდა პოეზიისადმი მიდრეკილებაც, რაზედაც მეტყველებს ერთ-ერთი დაწერილი ლექსიც, რომელიც იუმორის გრძნობით არის გაჯერებული და რაც ზეპირად

პირიქითა ხევსურეთი, სოფ. ხახაბო

უკარნახა თავის შვილიშვილს ნინოს, რომლის მცირე ნაწილსაც გთავაზობთ:

ღმერთმა გიშველას გივიო,
დღენიც ბევრ მაგცას გრძელია,
გამამიგზავნე ყველაი,
რაიც რომ დაგიწერია.
ეხლა „ლამფუჭკას" გავანთებ,
აღარ მექნება ბნელია,
საჩეჩელს ჩამაუჯდება,
ბებერი დედაშენია,
მეც დაგიქსოვე გივისა
ფშაურთ წინდები ჭრელია
სადაც წახვალ და წამახვალ,
ღმერთმა გიმართოს ხელია,
შენი ბებერი დედაი
იყოს შენ წერის მხდელია.

ლელო ბებოს დედაჩემთან ვუჩივლე, რომ ბებოს სულ ეძინა და ჭუკების მწყემსობა ჩემზე გადადიოდა.

ამისთანა იუმორის მქონე დედა, ყოველთვის მიწონებდა და მაქებებდა ბებოს სიყვარულისადმი, მაგრამ არ იცოდა თუ რა დარდი ტრიალებდა ჩემს გულში ბებო-შვილიშვილის ურთიერთდამოკიდებულების კუთხით, სანამ არ დავუმტკიცე ბებოს შვილიშვილმა „კოტორების" მინდორში.

მე მინდა გამოვკვეთო ლელო ბებოს დაუწერელი, მის მიერ შემუშავებული აღზრდის თეორია თავის შვილებისა, რძლებისა თუ შვილიშვილების მიმართ.

ბებოჩემი იყო დაბალი ტანის და როგორც ყველა ბალღს უნდა ამაღლდეს და რაინდი გაიზარდოს. დედაჩემი **არდოტელი** იყო, მაგრამ **ანდაქში** გაზრდილი, ნიჭიერი და ლამაზი, ხალხური ლექსების ბრწყინვალე მცოდნე. ჩემი თავი წარმომედგინა, რომ მე მაღალი ტანის უნდა გავზრდილიყავი, როგორც ზეპირსიტყვიერებაში დედიდან მახსოვდა.

ბებო ხან ერთ შვილთან ცხოვრობდა, ხან მეორე შვილთან და როგორც წესი, რომელ შვილიდანაც წამოვიდოდა, სადაც მივიდოდა, იმ შვილთან, იმ შვილის რძლებსა და შვილიშვილების ოჯახს აქებდა სისუფთავეში, ზრდილობაში, სწავლა-განათლებაში და ასე შემდეგ... და აქედან რომ მიდიოდა იქით, იგივეს აკეთებდა... მოდიოდა აქეთ, აქებდა და ნებსით უნებლიედ გამოდიოდა ის, რომ აჯიბრებდა ერთმანეთს ქართული ოჯახის ტრადიციებისადმი მიმდევრობაში და ასევე აჯიბრებდა სიყვარულში...

ასე გახდა დიდი ლელო ბებო, ყველას ბებო, უბერებელი შორს მჭვრეტელი და დაუფასებელი...

გარდა ინდაურის ჭუკების მწემსობისა, გარდა ურთიერთსაქმიანობაში პარტნიორობისა, დროის შექმნილი უთანხმოებისა, მე ბავშვური სიყვარულის ნოსტალგია დღემდე მომყვება ბებოს მიმართ...

მე და ბებო ერთად ვიძინებდით, ერთად ვიღვიძებდით, როგორც წესი ბებო სულ „მჭუჭკავდა" სიტყვებით: „ჩაიღენ" ფილო, ხელნი. ჩემი ხელნის ჩაღება ყმაწვილისთვის მძიმე იყო, რადგანაც ტყავნი გაჟღენთილი იყო ბურნუთის სუნით, რაც დღეს ეს ყველაფერი ბებო ლელოსთან ერთად მენატრება...

ვიმეორებ, ლელო ბებო მენატრება!..

ლელო ბებოს ედარდებოდა ჩემი წასვლა ჯარში, ეშინოდა, მისთვის ტანჯვა იყო, მაგრამ ისიც მინდა აღვნიშნო, რომ საოცარი ღიმილით შემომხედავდა ხოლმე.

იმ სკოლის სარკმლიდან ჩანდა, რომ ბებო მწყემსავს ინდაურებს. სანამ მე კოტორების მინდორში მივალ, ერთი სული მაქვს დავუმტკიცო, რომ მას ისევ სძინავს და ვნატრობდი მალე დამთავრებულიყო გაკვეთილი. გულისყურით ვუსმენდი ჩვენს ძვირფას მასწავლებელს **ჭრელა მამიაურს**.

დამთავრდა გაკვეთილი... გავიქეცი, ავიღე წიგნების და რვეულების მელნით მოთხვრილი „ჩანთა" და ვისწრაფვი რომ ფაქტზე დავიჭირო ლელო ბებო, რომ სძინავს და მატყუებს, რომ არ იძინებს.

ეს „პარკი" დავაგდე სახლში. დედამ მითხრ: სად მიხვალ გივი, პურსაც მაინც „შაჭამ"...

არ მინდა კაცო, „გამწირ, გამანებ თავ"...

XXX

გივი მინდიკაური საბჭოთა წყობილების დროის პოლკოვნიკია, მაგრამ არავინ თქვას ქართული სულიერება დაუკარგავსო. თუნდაც ამ მონათხრობით მიხვდება ჩემი მონათხრობის სიმართლეს...

... ლელო ბებო მინდორში ინდაურის ჭუკებს მწყემსავს და ჩასძინებია...

თიანეთის რაიონის სოფელ ალოტში, სკოლა ისეთ ადგილზე იყო, რომ ჩანდა, სადაც ლელო ბებო ინდაურებს მწყემსავდა მანამდე მინდოდა ბებოსთვის დამემტკიცებინა, რომ ამ ინდაურებს და ჭუკებს მე ვმწყემსავდი და არა ის. მეგონა, რომ ის სულ ისვენებდა და ეძინა, რაზედაც ხშირად ვსაყვედურეობდი: „ბებო, სულ გძინავს, და ჭუკებს სულ მე ვაბრუნებ"...

არა ფილო, არ მძინავს, არ მძინავს... ის რო გაიცინებდა, ამ მეთოდით დავუმტკიცე და „გამოვიჭირე", ფაქტები ვაღიარებინე, რომ ეძინა...

— ფილო აუ, ქვიავ ჩამძინები!... აუ, გავგიჟდი...

გახარებულმა, რომ ბებოსაგან „აღიარება" ჩაძინების თაობაზე მივიღე, სიხარულით მივლალე ჩემივე გაფრენილი ჭუკები, ოღონდ რა თქმა უნდა, მე ხევდახევ გამიძნელდა ჭუკების სახლში „მილალვა".

ასე მივიღე აღიარება ჩემი მეგობარი ლელო ბებოსგან...

დედას გეეხარდ... გავიქეცი ბებოსთან, მივედი და... სძინავ ბებოს, ისე წამოწოლილი კოტორებში და ფშვინავს. შევძახე: ლელო ბებო, ლელო ბებო! არ იღებს ხმას. მერე ვუყვიროდი, მანამდე, ვიდრე გაიღვიძებდა. დავაფრთხე ინდაურები და გაფრინდნენ ხევის მეორე მხარეს და დასხდნენ.

მერე გავაღვიძე ლელო ბებო და ხმამაღლა ჩავძახე ყურში... ბებომ შეშფოთებით გამოიღვიძა, შემომხედა და მითხრა: „ფილო, შენ ხარი?" ჰო, მე ვარ...

სადა გყავ ჭუკებ და ინდაურებ!...

აუ, ფილო, სად არიან!...

ჯარში რომ გამიწვიეს, ლელო ბებო მაცილებს და ხელგაშლილი მეუბნება:

„აუ, ფილო, ჯარში მიხვალ, ფილო, რაღა ვქნა, მია, შენ ცოცხალსაც ვეღარ მამისწრობ ფილო!"

გივი პასუხობს: „ფილო, ისეთ ეშმაკი ხარ ბებო, მე კი არა, ჩემს შვილსაც დახვდები მეთქი ასეთი მაგარი...

ასეც მოხდა, ჯარიდან რომ დავბრუნდი, სათვალეების გარეშე პირველმა იმან შემატყო, რომ მე გამხდარი ვიყავი და ისევ ისეთი ლელო ბებო დამხვდა, როგორიც ლელო ბებო იყო...

ესაუბრა

იზა ჯაჭვაძე

ღირსეული მამულიშვილები

კაი ყმა



ნუგზარ იდოიძე 1949 წლის 4 დეკემბერს თუშეთის სოფელ ომალოში დაიბადა. აქვე გაატარა სკოლამდელი ასაკის პერიოდი. ეს იყო ტრადიციული თუშეთის უკანასკნელი წლები, ვიდრე საბჭოთა ხელისუფლება მოშლიდა მკვიდრ ცხოვრებას და იძულებით ჩაასახლებდა ადგილობრივ მოსახლეობას. ბავშვობის წლებში მიღებულმა შთაბეჭდილებებმა დიდწილად განაპირობა მისი შემდგომი პროფესიული ორიენტაცია.

1966 წელს წარჩინებით დაამთავრა ქვემო ალვანის საშუალო სკოლა და იმავე წელს ჩაირიცხა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე ეთნოლოგიის განხრით, რომელიც 1974 წელს დაამთავრა. მისი სადიპლომო თემა იყო: „თუშეთის პიქტოგრამები“, რითაც ასე მდიდარი იყო თუშეთი და საინტერესო ინფორმაციას ინახავდა თუშეთის ტრადიციული ცნობიერებისა და მსოფლმხედველობის შესახებ.

ნუგზარ იდოიძემ 1971-75 წლებში დაამთავრა დიმიტრი არაყიშვილის სახელობის I მუსიკალური სასწავლებლის ვოკალური ფაკულტეტი. ორი წელი იმსახურა, ხოლო შემდეგ იყო ამიერკავკასიის სასაზღვრო ჯარების სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის სოლისტი.

1978 წლიდან დღემდე მუშაობს გ. ჩიტაიას სახელობის თბილისის ეთნოგრაფიულ მუზეუმში უფროს მეცნიერ-თანამშრომლად და ეროვნული მუზეუმის ასისტენტად თუშეთში.

1983 წლიდან ოჯახით საცხოვრებლად და სამუშაოდ გადავიდა **თუშეთში დართლოს** არქიტექტურული ნაკრძალის, **თბილისის ეთნოგრაფიული მუზეუმის ფილიალის გამგედ.**

1983-89 წლებში მუშაობდა ომალოს სკოლა-ინტერნატის ისტორიის მასწავლებლად. ამ პერიოდში დაიწყო ეთნოგრაფიული ნივთების მოძიება, რომლის ბაზაზე **1989 წელს გახსნა ეთნოგრაფიული მუზეუმი ომალოში.**

1990-იანი წლების დასაწყისში მუშაობდა თუშეთის საკრებულოს თავჯდომარედ და წილად ხვდა პატივი ადგილობრივი საბჭოს ბეჭედი შეეცვალა თავისუფალი საქართველოს ბეჭდით.

1992 წელს თუშეთში ჩამოყალიბდა საქართველოში პირველი სასაზღვრო საგუშაგო „თუშეთი“, რომლის უფროსი 2000 წლამდე გახლდათ ნუგზარ იდოიძე.

მოღვაწეობის პერიოდში იგი ფართოდ იყენებდა ხალხური დიპლომატიის ტრადიციულ მეთოდებს მეზობელი დაღესტნელებისა და ჩეჩნების თემებთან საურთიერთოდ, რამაც დადებითი როლი შეასრულა პოლიტიკური სტაბილურობის შესანარჩუნებლად თუშეთსა და მის მეზობელ თემებს შორის.

2001 წელს ჰოლანდიელ მეგობრებთან ერთად ჩამოყალიბდა კულტურული ფონდი „კესელო“, რომლის ძალისხმევით, 2001-2006 წლებში აღადგინა კესელოს ხუთი ციხე-სახლები და გახსნეს ეთნოგრაფიული ექსპოზიციები.

2006 წლიდან ნუგზარ იდოიძემ მუშაობა დაიწყო თუშეთის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციაში, სადაც დღემდე მუშაობს უფროს რეინჯერად.

გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო სტატიები: „თუშეთის ეთნოყოფიერების მითოსური ასპექტები“ – „ლიტერატურულ საქართველოში“ 2002 წელს. ასევე „ქართველთა საბრძოლო ხელოვნების მსოფლმხედველობრივი საფუძვლები“, – 2002 წელს, 2004 წელს „აღსდეგ რაინდულო საქართველოვ“, ი. ყეინაშვილი, „თუშეთის მწყემსური კულტურის მაფორმირებელი მითოლოგიები“ – 2007 წელს, ეროვნული მუზეუმის კრებული, 2006 წელს თუშეთის წეს-ჩვეულებებისა და რიტუალების ცნობარი მოგზაურთათვის“. ბროშურა – 2006 წელი.

ბატონ ნუგზარს მიღებული აქვს ჯილდოები – მედალი „საბრძოლო დამსახურებისათვის“ და „ღირსების ორდენი“.

ნუგზარ იდოიძე გამორჩეული მამულიშვილია, მოკრძალებული, დინჯი, რაინდული თვისებებითა და მაღალსულიერებით შემკული.

ძვირფასო ნუგზარ!

დიდხანს მდგარიყავით დედა საქართველოს სულიერ სადარაჯოზე!..

იზა ჯაჭვაძე

პოეტი და ჟურნალისტი იზა ჭაჭვაძე

იზა ჯაჭვაძის ლიტერატურული დებიუტი 1975 წელს შედგა, როდესაც ჟურნალ „ცისკრის“ დამატება №4 „ნობათში“ გამოქვეყნდა პირველი ლექსები. მას შემდეგ თქვენი ლექსები ხშირად ქვეყნდება ქართულ პერიოდულ პრესაში.

მრავალმხრივია თქვენი მხატვრულ-პუბლიცისტური და ჟურნალისტური შემოქმედების არე. ასევე მრავალფეროვანია და მძიმე განსაკუთრებით საქართველოს მთიანეთის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების პრობლემებზე სერიალების შექმნა, რომელსაც განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობთ, და რომელმაც თქვენი შემოქმედებითი მოღვაწეობა აამაღლა და გაამდიდრა.

თქვენ უკვე რვა პოეტური და მხატვრულ-პუბლიცისტური წიგნების ავტორი ხართ. თქვენი ლექსები შესულია ქართული პოეზიის ანთოლოგიაში. და ასევე რუსულ ენაზე გამოცემულია ა. ბააზოვის ქართული პოეზიის ანთოლოგია, რომელშიც თქვენი ლექსებია შეტანილი.

თქვენს წერილებში ასახული პრინციპული მოთხოვნების საფუძველზე ბევრი მთიელის ოჯახური მდგომარეობა გამოსწორდა.

გამოცემული გაქვთ პოეტური და მხატვრულ-პუბლიცისტური წიგნები: „სახლობანას თამაში“, „გვედრებ“, „ცრემლის ყელსაბამი“, „მიყვარხარ მთაო, ტიალო“... „მთაში დაისის შემოდის ფერი“, „ნისლივით მთასა ვკიდივარ“... და სხვა.

2001 წელს პანკისის ხეობის ცნობილი უმძიმესი კრიმინოგენული მოვლენების დროს, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკიდან“ ერთადერთი ჟურნალისტი დიდი რისკის ფასად შეხვედით აღნიშნულ ხეობაში. სამი წლის განმავლობაში თითო თვე დაჰყავთ და გამოაქვეყნეთ წერილების სერიალები სათაურით: „რა ხდება პანკისის ხეობაში?“ რის გამოც წლის საუკეთესო ჟურნალისტის წოდება მოგენიჭათ. წიგნისთვის: „ნისლივით მთასა ვკიდივარ“ 2003 წელს საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითმა კავშირმა მოგანიჭათ ნიკო ნიკოლაძის სახელობის პრემიის ლაურეატის წოდება.

2012 წელს ქართული ჟურნალისტის განვითარებაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისათვის დაჯილდოვდით დიპლომით.

2013 წელს გაზეთ „კავკასიის“ ათი წლის იუბილესთან დაკავშირებით კავკასიისა და მთიანი რეგიონების ყოფა-ცხოვრებისა და კულტურის ამსახველი პრობლემატური საკითხების პუბლიკაციებისათვის დაჯილდოვდით დიპლომით.

2013 წელს საქართველოს მწერალთა შემოქმედებითმა კავშირმა კი მოგანიჭათ ვაჟა-ფშაველას პრემიის ლაურეატის წოდება.

2014 წლის 21 მარტს, საქართველოს ჟურნალისტიკის დღესთან დაკავშირებით მოგენიჭათ საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტის წოდება.

საქართველოს ქალთა საბჭომ საქართველოს მთისა და მთიანი რეგიონების პრობლემებთან დაკავშირებულ მრავალწლიანი ღვაწლისათვის დაგაჯილდოვათ სიგელით.

ასევე თქვენ მოგენიჭათ საპატიო ჩარგლელის წოდება.

2001 წელს საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის თავჯდომარის გენერალ-ლეიტენანტის **ვალერი ჩხეიძის** მიერ დაკისრებული მოვალეობის პირნათლად და მაღალკვალიფიციურად შესრულებისათვის, უმწიკლო სამსახურისა და მაღალი პროფესიონალიზმისათვის დაჯილდოვდით სიგელით.

2001 წელს მხატვრულ-პუბლიცისტური კრებულისათვის: „მთაში დაისის შემოდის ფერი“, მოგენიჭათ დაუვიწყარი ქართველი პოეტის გაბრიელ ჯაბუშანურის სახელობის ლიტერატურული პრემიის ლაურეატის წოდება. თქვენ სცენარისტი ბრძანდებით ისეთი საინტერესო და მნიშვნელოვანი სატელევიზიო ფილმებისა, როგორიცაა: „სტორის ხეობა“, „პანკისელი ქისტები,“ „ჭიჭაკვის ხეობაში“.

ამჟამად თქვენ ხართ გაზეთ „კავკასიის“ დამფუძნებელი, გამომცემელი და მთავარი რედაქტორი.

თქვენი ჟურნალისტური და ლიტერატურული მოღვაწეობის ორმოცდაათი წელი ქართული კულტურის, ქართული ტრადიციების, ქართული სულიერების თავგამოდებულ დამცველად გვევლინებოდით.

ასევე თქვენ იყავით საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი აქტიური წევრი და მჭიდრო კავშირი გქონდათ ბატონ მერაბ კოსტავასთან და ზურაბ ჭავჭავაძესთან. ჟურნალი „საქართველოს მოამბე“ არალეგარულად რომ გამოდიოდა, საქართველოს მთიანეთში ავრცელებდით.

გაზეთ „კავკასიიდან“ კი დღეისათვის თქვენს სარედაქციო კოლეგიის წევრებთან ერთად ჩვენს ქვეყანას სთავაზობთ პირუთვნელ ნიმუშებს ჩვენი სამშობლოს წინსვლისა თუ კეთილდღეობისათვის.

ქალბატონო იზა, გისურვებთ ჯანმრთელობას და სამშობლოს საკეთილდღეოდ კიდევ მეტ შემოქმედებით სიურპრიზებს.

საქართველოს მწერალთა კავშირი.

პანკისის ხეობის სიმღერა

პანკისის ხეობაში ახმეტის რაიონის სოფელ საკობიანოში, 1949 წლის 10 ივლისს დაიბადა **ციური სამუკაშვილი**. დაამთავრა საკობიანოს საშუალო სკოლა, 1972 წელს თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მუშაობდა მატნის სკოლა-ინტერნატში აღმზრდელ-მასწავლებლად. სკოლის რეორგანიზაციასთან დაკავშირებით გადავიდა ახმეტის 130-ე პროფესიულ ტექნიკური სასწავლებლის ბიბლიოთეკაში.

1984 წლიდან მუშაობდა მატნის სასოფლო საბჭოს აღმასკომში მდივან – საქმის მწარმოებლად.

2006 წლიდან იყო მატნის ტერიტორიული ორგანოს სპეციალისტი. ჰყავს მეუღლე და სამი შვილი.

1. ქალბატონო ციური, მართალია დღეს აღარ მუშაობთ, მაგრამ მაინტერესებს რა ხდება თქვენთან, რითი არის დაკავებული ახალგაზრდობა და მოსახლეობა?

2. აქაურები სარგებლობთ თუ არა ტყეებით?

3. რაიონის თავკაცები თუ ზრუნავენ სოციალურად დაუცველ მოსახლეობაზე ხელისუფლებიდან თუ ადგილობრივი მოსახლეობიდან ვინ გიდგათ გვერდში? თქვენი ლეგენდარული თანამემამულის, საქართველოს ეროვნული გმირის – ქაქუცა ჩოლოყაშვილის პიროვნებით ამაყობთ თუ არა?

4. ასევე მაინტერესებს სახლი, სადაც დაიბადა და ცხოვრობდა ქაქუცა ჩოლოყაშვილი, კიდევ არსებობს თუ არა და ასევე მისი სახლმუზეუმი.

5. რა იყო და რა არის თქვენი უპირველესი ოცნება?

დროთა სვლამ ბევრი რამ შეგვაძლებინა...

საკრებულოსთან, სკოლასთან, რამდენიმე ხევზე ხიდები შეკეთდა, შეიცვალა წყლის მილები. რამდენიმე უბანში გამგეობამ წყალი გაიყვანა. რემონტი გაუკეთდა №1, №2 საბავშვო ბაღებს, ასევე საკრებულოს შენობას. სოფელ ქორეთში გაკეთდა გარე განათება. გასწორდა და მოიხრეშა შიდა საუბნო გზები. საკრებულოს შენობასთან გაიწმინდა მარილის ხევი. მატნის მხარეს, 700 მეტზე გაკეთდა ახალი ხიდი, შეკეთდა საკობიანოს საბავშვო ბაღის შენობა. მატნის მუსიკალურ სკოლაში დამონტაჟდა ელექტროხარი. საკობიანოში, კუწახტაში და ქორეთში გაიწმინდა სანიაღვრე არხები. სოფელ დედისფერულში გადაყვანილია სასმელი წყალი, სოფლის გამგეობა 14 ოჯახს დაეხმარა ხე-მასალით. გარემონტდა სოფელ საკობიანოს საჯარო სკოლის საკლასო ოთახები. ამავე სოფლის ცენტრში მდებარე ბიბლიოთეკის შენობას სახურავი შეუკეთა. დედისფერულში კი ელო თეთრაულს საცხოვრებელი სახლი გაურემონტდა.

მიუხედავად ამდენი შესრულებული საქმისა, მატნის ტერიტორიულ ორგანოში შემავალ სოფლებში, ჯერ კიდევ ბევრი საქმეა მოსაგვარებელი. სახელდობრ, მატანში ფოსტის შენობა, გასაწმენდია და დასაქლორია სასმელი წყლის ავზები, მოსახრეშია საუბნო გზები. რაც შეეხება ამბულატორიას, ის შეუფერებელ ადგილზე იყო განთავსებული, მაგრამ ისიც გარემონტდა. მატნის ყველა საბავშვო ბაღი და სკოლა მინებით მომარაგდა.

ჩვენთან ამ ყველა სამუშაოს შესრულებაში აქტიურად არის ჩართული ადგილობრივი ახალგაზრდობა. შემოიღობა მატნის სასაფლაო და სტადიონები. გვაქვს ნაგვისგამტანი ურნები და მის გასატანად სპეციალური მანქანაც. სოფლის ცენტრში გაკეთდა ტრანსპორტის მოსაცდელი.

რაც შეეხება ჩვენი სოფლის და საერთოდ, საქართველოს ეროვნული გმირის ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახლმუზეუმს თუ მემორიალს, მართალია, მატანში კიდევ არსებობს მისი საცხოვრებელი სახლი, მაგრამ დღეისათვის სხვა ოჯახი ცხოვრობს. არსებობს, ასევე ჩოლოყაშვილების გალავანი, მაგრამ არ გვაქვს მისი სახლ-მუზეუმი. ვფიქრობთ, მომავალში გავხსნათ ჩვენი საამაყო მამულიშვილის და ლეგენდარული გმირის მუზეუმი, რაც ყველა ჩვენთაგანისათვის გასახარი და საამაყო იქნება და რა თქმა უნდა ეს დიდ თანხასთან არის დაკავშირებული და მარტო ჩვენზე არ არის დამოკიდებული. ვფიქრობთ, ამ პრობლემასაც უახლოეს მომავალში მოვაგვარებთ.

სოციალურად დაუცველი ოჯახები დახმარებას სახელმწიფოსგან იღებენ და გაჭირვებულებს შესაძლებლობის ფარგლებში ადგილობრივი ხელისუფლება ეხმარება.

ახმეტის რაიონის ხელმძღვანელობა კი ხალხის მოთხოვნებს ყოველთვის გულისხმიერად ეკიდება...

იზა სტორელი



მურთაზ არაბული

ეპიტაფია

ვამოკლებთ გზას და
მივალთ ხევდახევ,
დღეს ამ გრძელი გზით
განაწამებნი,
მოვედით, მოგვყვა
ღამე ფეხდაფეხ,
ერთგულ ძაღლივით
დაწვა კარებში.
თინას უხარის ჩვენი სტუმრობა,
ეს სიხარული გულს ნადებია,
გაშალა სუფრა, დაგვსხა პურბად
და შემოგვესწრნენ
ტუჩა, ბერდია.
უცებ სათქმელი ლექსად გაგექცა,
დარჩეს ამ ღამეს ეპიტაფიად.
არ გაპატია ტუჩამ გალექსვა,
გამოგიქანა წკეპლა კაფია.

***

ჭოტი გულისწორს
ყივილით უხმობს,
პასუხს ვერ იღებს, ჩუმდება ისევ.
არაგვს ამოჰყვა სტვენით ლემადე,
უკან დატოვა მთები სამხრეთის,
რამდენი რამე ითქვა ჩემამდე,

ან კიდევ იტყვის შემდეგ რამდენი.
ჰა, გაფერმკრთალდა
შუქი ვარსკვლავთა
და გადმოიქცა ზეცა უძირო,
ზევით, ხევებში, ღამე გამქრალა...
ამ სილამაზეს მინდა ვუცქირო,.

ცას შევხედე და განაჭენები,
მღვრიე ღრუბელი გადადიოდა,
შორს, სილურჯეში,
ლურჯა ცხენებით
გადაიქროლა გალაკტიონმა...

***

იფერფლება ღამე ჩვეულებრივად,
არაგვის და ზამთრის ქართა ქროლაში,
ცაზე მთვარე ღრუბლის ჯარებს შებმია,
ჩაბმულია გახურებულ ბრძოლაში.

დამშვიდებულ ბუნებასთან პაექრობს
თებერვალი ცივი და უკარება.
და როგორც ჩანს, ვერ პოულობს საერთოს
და ქურდივით ჩუმად მიიპარება...

შენ არ ჩანხარ, გულ კვნესის საშინლად,
თითქოს მისთვის უკბენია მორიელს,
ჩემი ფიქრი იმას იქით დაშლილა,
გაზაფხულს და შენ მოგელით ორივეს.

არჩილ ყაჩმაზაშვილი

მონოლოგი საკუთარ თავთან

გული მიბორგავს, სული კი შფოთავს,
და არც გონება არა მაქვს მშვიდი...
ჩემი მოვლენა ამ ქვეყანაზე
უფლის შეცდომა მგონია დიდი.
თავი ვერავის ვერ შევაყვარე
თუმც ქედს ყოველთვის
ყველას წინ ვხრიდი,
არც გამიმართლა ძველმა ანდაზამ,
რასაც ვთესავდი ვეღარა ვმკიდი...
ჩემი ადგილი აქ ვერ ვიპოვე...
მზად კი ვიყავი გამეღო მინდი,
ორი სიტყვის თქმაც არავინ მანდო;
არადა ჩემს თავს ჭკვიანად ვთვლიდი...
ვირწმუნე სოფლის ამაოება,
საწუთროს ბრუნვა, ცბიერი, ფლიდი;
ადამის მოდგმის გაბოროტება
და მოზიდული ზურგს უკან მშვილდი...
შემძულდა მიწა ცოდვებით სავსე;
მე უცოდველი მას არც კი ვთხრიდი,
ახლა კი დროა დავტოვო იგი
და სხვა სამყაროს დავზვერო ხიდი...

გასამგზავრებლად უკვე მზადა ვარ,
მე ამ დღისათვის თავსაც კი ვწვრთნიდი,
ადგილიც უკვე ამოვირჩიე
ერთ უბანს ხელით მანიშნებს გიდი.
ეს პოლუსია და მის გარშემო,
მუდმივად ბრუნავს ვარსკვლავი შვიდი,
ეს არის ჩემი სულის საუფლო,
ბევრჯერ ოცნებით იქ კარავს ვშლიდი...
მე იქ მოგიცდით თქვენ ნუ იჩქარებთ,
რაგინდ ცხოვრება შეგექმნათ ძნელი;
ადიდეთ ღმერთი, უფალი ჩვენი,
დაგმეთ სატანა ბოროტის მქმნელი...
მამა-პაპათა ნალოც ხატებთან
შამბსა და ჭინჭარს მოუსვით ცელი,
მათი სულების გასახსენებლად
ყორეზე სანთელს მიადგით ცერი.
წასვლის წინ ვნატრობ, იქნებ გვეღირსოს,
გამოჩნდეს ვინმე ჭკვიანი, ბრძენი,
შეაგნებინოს ადამიანებს,
რომ ყველანი ვართ სიკვდილის ძენი.

ლევან ცალუღელაშვილი

***

დღეს საქართველო
ხელგაწვდილი
მათხოვარია...
და სისხლდაშრეტილ
თვალებს
აცეცებს...

უცხო მიწაზე გახიზნულა
დედა ქართველისა,
უცხოს ხარკს უხდის,
მაგრამ არავის უყოფს
სარეცელს!

გოჩა ხარანაული

გეფიცები

ჭრელთვალება დედაჩემს გეფიცები,
დღემდე მისი გულის მზეს ვეფიცები!
ვინ თქვა ბავშვობიდან რომ მოვდივარ.
ბავშვობა მოდის ჩემიდან!
ცა მექცა სატრფოს მოლოდინად,
სამყარო არის ჩემი და!
მივფანტ-მოვფანტე მარგალიტი,
სუყველამ ფრთები გამოისხა,
ვინც მიყვარს, ვიცი რა გამიტანს,
ვისაც ვუყვარვარ გამოიცან!!!
რაც არ ვიცოდი, ვიცი უკვე,
რაც გამომაკლეს მემატება...
მიყვარს ბალახის სიჯიუტე,
მხიბლავს ხეების შემართება!
სიცოცხლე განგებ ჩავიმწარე,
სიმართლის თანამეინახემ,
მაჭრის სიზმრები ჩავიწერე,
და ოქროს ფონდში შევინახე!!!
გავედი ქარებზე სანადიროდ,
რაც უნდა ის თქვან. ავრე მსურის!

ქარაფიდან ქარაფზე გავეშურე,
ბადე გავჭიმე აბრეშუმის!!!
ნაბიჯი დავტოვე ქარაფებთან,
ბროლი მოვინატრე საკოცნელი,
ვნების ყველაზე დიდ ქალაქებთან,
მტვერში ჩამისაფრდა გამომცდელი!
სული ჩემი რომ არ წამქცეოდა,
რომ შემოვქცულიყავ გამარჯვებით,
ჩემს სულს მივუმარჯვე სამზეოდან,
ქართული სიტყვის ყავარჯენი!!!
ჭრელთვალება დედაჩემს გეფიცები,
აღარ და ვეღარ შევიცვლები!!!

უცხო ჯურის «ზედამხედველ დამკვირვებლებს»

ვინც არ უნდა იყოთ თქვენ, ვინც აქ მოეხეტებით,
სადღეგრძლო დამილიეთ თავმომწონე ქედების.

ამ მიწაზე წყდებოდა ბედი ქვეყნის მდგმურების,
სადღეგრძელო დამილიეთ გედის სალამურების!

სადღეგრძელო დამილიეთ იდუმალთან მორკინლის,
თქვენთვის დასჯილ ამირანს გაულოკეთ ბორკილი!

გონზე მოდით, ნუ ასრულებთ მამაძაღლთა შეკვეთებს,
ჯერ ამერებს ემოწაფეთ, მერე იმიერეთებს!

აქაურ ცას რომ ახედავთ, უფლის თვალად გახელილს,
ვაზის შვილი დამილოცეთ ღვთაებრივი კახელი!

გუთნის დედის, ხარის ქედის, ჟამთა მსმელი ჭურების,
გურულები დამილოცეთ, მერე კრიმანჭულები...

გათენდება ხვალინდელი იბერიულ აისით,
მეგრულ „ნანას“, სვანურ „ლილეს“ დაუსულდარბაისლდით!

მუსულმანურ ურჩხულისგან ხომ იყავით შემკრთალი,
ეს დავითის წიგნი გახლავთ, ეს გორგასლის ბექთარი...

მარადისის თავანები თავებს როცა გვიხრიან,
რა შევძელით, ვით შევძელით, ერთხელ თუ გიფიქრიათ!

აუხსნელი სილამაზით ყველა გადაიმტერო,
განა ასე შეიძლება, სულიერმა იმღეროს!

ასე მშვენიერი იყო თმის ძირიდან ცერამდე,
განა ასე შეიძლება ხორციელი ცეკვავდეს!

ეს ზღაპრული ჩუქურთმები ტაძრებში რომ გაჩრილა,
ქართველების ძვლები გახლავთ, თქვენ რომ გადაგარჩინათ!

სიმართლე ვთქვათ, განა ზეცა თავს სუყველას უყადრებს,
განა ასე შეიძლება გიყვარდეს და უყვარდე!

ვის წინაშეც ცახცახებდით, ვფანტეთ ნაცრის სადარად,
ჩვენი სისხლი უკვდავებად მიმოვთხიეთ სად არა!

თვალის ჩინი თუ კი შეგრჩათ უჩინარის მნახველი,
საქართველოს დაუჩოქეთ ღმრთისშობელის სახელით!

სცადეთ უფლის მასპინძლობა, ნუ ხართ ეშმას ხიზნები,
ქართულ ანბანს მიეახლეთ ცოტა წამოიზრდებით!

ჩალად მიღირს ვინ ბრიყვია, ან განგებ ვინ სულელობს,
ვით გვასწავლით ჭკუას ხიდან, გუშინ ჩამოსულებო!!!

თქვენ არ იცით ჩემმა ჯიშმა რა მიმოხვრით იდინა,
ჩამოდიხართ, ღორებივით გაძღებით და მიდიხართ!

სხვა რა გითხრათ, გასაჯოხებს, მერე გასაღვედელებს,
თქვენ, თქვენს დედებს დააკვირდით და უზედამხედველეთ!

ვინც არ უნდა ბრძანდებოდეთ, ერთგან ქუსლი იკარით,
რომ არსებობს საქართველო მადლობელი იყავით!!!!!

„ლექსო ამოგთქომ, ოხერო!..“

მანანა ფიცხელაური

***

თეთრი ვარ თეთრსა მინდორჩი
თეთრსა დავიდგამ კარავსა,
მე, შენგან დაწუნებული,
ყეენს არ მივცემ სალამსა.

შავერცხლდებიან დალალნი,
გული გაამხელს არასა,
შავს მიწას გავუზიარებ
წლობრივ ნაგროვალ ვარამსა.

ნანა დიაკონიძე

ქალი

გადაეჩვივნენ შვილებს დედები
გაუუცხოვდნენ კაცებს ცოლები,
შემინდეთ, მაგრამ თქმა სჯობს არათქმას,
აფრიკასაც ვერ მივეტოლებით.

რა დავაშავეთ ნეტავ ასეთი
ღმერთის რისხვა რომ დავიმსახურეთ,
რატომ ვაქციეთ ქართველი ქალი
უცხო ტომელთა მოსამსახურედ,

ხშირად ვფიქრობ და ასე მგონია
ყველაზე ცუდი სიზმარი ახდა
მანდილოსანი დღეს უფრო მეტად,
სანატრელი და ძვირფასი გახდა.

ღვთისმშობელს მუდამ ღმერთს ვევედრები,
გადაგვაფაროს მოწყალე კალთა,
შინ დაბრუნებაც მალე გვენახოს
მამულისაგან მოკვეთილ ქალთა.

სხვას ხატავდი

სიზმარში წუხელ შენ სხვას ხატავდი,
ვიღაც სხვა ქალი გყავდა ანტურად,
ჯავრისგან ლამის ძილშიც გავთავდი,
ეჭვმა სიზმარშიც გამანადგურა.

იქნებ მანდ ცხადშიც სხვას ხატავ ახლა
და ცხოვრებაშიც გყავს სხვა ნატურა,
მე გულგრილობამ შენმა დამღალა,
გულშიც ტკივილმა დაისადგურა.

დაისადგურა სიცივემ სულში
და სევდიანი ფიქრები მათოვს,
თითქოს და საღღაც ჩავრჩი წარსულში,
მხოლოდ წარსულზე ფიქრები მათბობს.

სანამ ისევ არ დამდგარა ღამე,
ჩემთვის რომ მხოლოდ ტკივილს იმეტებს.
დარეკე, ანდა მომწერე რამე,
თუნდ ერთი სიტყვით დამაიმედე.

თორემ სიზმარში სხვას რომ ხატავდი,
ვიღაც ქალი რომ გყავდა ნატურად,
ჯავრისგან ლამის ძილშიც გავთავდი
ეჭვმა სიზმარშიც გამანადგურა.

ლევან ცალუღელაშვილი

***

ვერ დაგპირდები,
არ დამათრობს მზერა ქალღმერთის,
როცა დალევას არ მაძალებს
მთვარე–თამადა...
მაინც ვერ გითხარ, ფშავლის ქალავ,
რარიგად გეტრფი,
ტიალ გულში რომ უშენობა
გამიავდარდა...
ვერ დაგპირდები, არ ვემთხვევი
შენს სათაურას,
ნანაურს შენსას
მომხვდურად არ გადავეყრები...
შენმა თოლებმა
გამატყიურ–გამათაურა,
უშენოდ ღრუბლებს
ხევ–ხუვებში
ჩავესეტყვები...
ვერ დაგპირდები —
არ დაგიშლი მოჯარულ ნაწნავთ...
არ დაგიჩოქებ,
უგონოდ არ გავწარმართდები,
დაცლილ ფიალას გადავუგდებ
მთვარე–თამადას,
მერე მაგ თმების უკუნეთში
დავსამარდები!

***

კარს ხმაურით რომ მოიჯრიან
ან თავად მივჯრი,
გამიცოცხლდების ნანახ–გაგონილ...
ვიხორც იარებს...
გამახსენდების რაგვერ
დამჭერ, დამახვალ მიჯრით,
რაგვერ მიყვარდი, შენ მაძებარ
სად არ ვიარე...
რარიგად მწამდის, ემაგ თოლებს, —
მზეჩაბუდებულთ,
სულეთის კართან ზარად,
მეხად გამიელვებდი...
შენც მასწყინდები საქაოს...
იქავ მამიხვალ,
უწინ ნახსომი ბოღმასავით
დამიძველდები!

ეთერ ჩოხელი-ბაინდურაშვილი

ვაჟა-ფშაველას!

ვაჟავ, შე მთების მშვენებავ,
დამმშვენებელო ბარისა,
შენგან, გადამწვარ მიწაზე
ბაღ–ვენახები ჰყვავისა.

ატყვია ხნული მკვიდრადა
გამწევი ნიშა ხარისა,
ამტანი გახდა მთის მთელი
შირაქის ცხელი ჰავისა.

ფშაველ, მთიულთ და ხევსურთა
ტრადიცია აქვს თავისა,
ძალა აფარებს კალთასა
მთა ბარის სალოცავისა.

ნანად მიიჩნევს ყოველი
ბღავილს ძროხის და ცხვარისა,
ყურებში უდგას დღესაცა
ზამთარს გრიალი ზვავისა.

აქ პოეზიის ლამპარი
შენებრ მნათობად ნთავისა
არ ჩატეხილა, მკვიდრია
ხიდი მთისა და ბარისა.

შენ თუ ჰყვიროდი მთიდანა
ზვრები ბარშიაც გყავისა,
არავის დავიწყებია
ტკბილი სამშობლო თავისა.

არც შენი რითმთა წყობანი
ფშაური კილო კავისა.
ბარშიაც გაანაწილე
ძლიერი სული ფშავისა.

ხატად გვყავ, სალოცავ ხატად
აქაც სამშობლო თავისა,
თავიც მდიდარი გვგონია
მთაში მთით, ბარად ბარისა.

მზე უხვათ გვაფენს სხივებსა
ღამით შუქი გვაქვ მთვარისა,
მარგალიტივით მდელოზე
გრჭყვიალი დილის ნამისა.

თავზედ გვირგვინად გვადგია
ცა, ვარსკვლავების ჯარისა.
აქაც ფარფატებს ნისლები
როგორაც ფრთები მთვარისა.

კარგადაც მოსჩანს სალ–კლდენი
არწივთა საბუდარისა,
ბუნება ზოგჯერ მკაცრია
თანაც სიტურფით ჰყვავისა.

მანდით აქამდის აშხეფებს
ტალღა არაგვის წყალისა,
გვათრობს პირიმზის სინაზე
ქარაფთა დედოფალისა.

ჩუმი ჩურჩული გაისმის
ლურჯ–კაბა ია ქალისა,
ნუკრის ნადენი ცრემლები
ცაზედ ვარსკვლავად ნთავისა.

ყვავ–ყორანთ დაჭრილ არწივებს
სისხლი ზოგთ კიდევ სცხავისა,
მოგვეჩქროლება ჟღარუნი
ლუხუმ–ზეზვაის ფარისა.

სანათას ცრემლებ წვიმადა
ხმა საფლავთ მთხრელი ბარისა,
თვალწინ გვყავ ქეთელაურის
მოჭრა კურეტის თავისა.

ლელა–კვირიას და–ძმობა
გახსნა ბახტრიონს კარისა,
სტუმარ–მასპინძლის ჯიხვისა
სუნი გვცემს მწვადის ცვარისა.

ჩვენც შამოგვჩივის წიფელი
წარსულს მისტირის თავისა,
გონს გვილევს შერეს ბებერის
წყევა და ღმეჯა ჩანისა.

გულს გვიდნობს ეთერის ცრემლი
ტრფობა უცდელი ქალისა,
შენ გმირთა ცხენთა თქრიალი
აქ გრიგალია ქარისა.

და მაინც ისმის არ წყდება
მთიდან ყვირილი ხარისა.
ბარშიც გუგუნით მიწას ვჩხვერთ
ყველას შენ რქები გვსხავისა.

ვაჟავ, შე მთების მშვენებავ,
დამმშვენებლო ბარისა,
შენგან, გადამწვარ მიწაზე,
ვარდ–ყვავილები ჰყვავისა.

ამტანნი გახდნენ მთიელნი
შირაქის ცხელი ჰავისა,
დაუღლელ შრომა–გარჯითა
შემქმნელნი დიდი ხვავისა.

ძალა აფარებს კალთასა
მთა–ბარის სალოცავისა,
ნიადამა აქვს იმედი
სამოთხის ღია კარისა.

დაწერილია 2003 წ. სოფ. ქვემო ქედი.
ვაჟა-ფშაველას მიერ ქედების დასახლების 100 წლის იუბილეზე.

ნოდარ არდოტელი

ქალიშვილის დაბადება

შენ მოგვევლინე ქალად,
ჩემო სისხლო და ხორცო!
სანამ მეყოფა ძალა,
უნდა გკოცნო და გლოცო.

უნდა ვეწვიო მცხეთას.
გარიჟრაჟამდე დავრჩე,
დავემხო ქრისტეს ფეხებთან,
მადლი შევწირო გამჩენს.

ნინო დაგარქვით, შვილო,
დე, ნინოს ჯვარმა გიხსნას!
შენს დაყვავებას ცდილობ
მწუხრზე თუ დილა სისხამს.

გოდერძი ხულიაშვილი

ფშავი

ლურჯი ცა — მისი კუთვნილი,
ჩანჩქერთა თეთრი დალალი,
ფშავი — სიმღერა ულევი,
გულღია, გულით ალალი.

არაგვზე ნისლის ფთილები,
წყარონი ბროლის მძივები,
სიმაგრე ხავსმოდებული
და მომავალის იმედი.

მასპინძელია გულღია,
სტუმრისთვის მკლავდაუღლელი:
„სტუმრისა მოსვლას მზე მოჰყვა,
წასვლასა შავი ღრუბელი“.

ცისკარის შემოცინება,
ნამთან ამბორი მთებისა,
მთების ექოში გაბნევა
ფშაური სიმღერებისა.

ჩემი ფხო, ჩემი შუაფხო,
მთა ჩემი, ასე ამაყი,
სამშობლოს სადიდებელად
დადგომა სამას–სამასის.

ფშავი მახვილი ელვარე,
ქართული გულის ნაწილი;
ფშავი არწივის ფრთის გაშლა,
თავად ფრთამალი არწივი,

სიმღერა, მთებს რომ გადასწვდა,
დევკაცის სუნთქვა მთებური,
ფშავი — ერთფერად ლამაზი,
მზეა თუ ნისლი ებურვის.

ერთფერად სათაყვანები,
სავსეც და თუნდაც დაცლილიც,
მთებში მზის ჩამოცინება,
ღრუბლის დენაც და ნაწვიმიც.

ლურჯი ცა მისი კუთვნილი
და მთები მუდამ ამაყი,
ჩემი ფხო, ჩემი შუაფხო,
ფშავი და ჩემი არაგვი.

გაძარცული ტყეები

ბევრი კანონი დარეგულირდა სახელმწიფოში. ეს არ ითქმის ტყის მასიური ჩეხვის მიმართ. საკითხავია, რას აკეთებს გარემოს დაცვის სამინისტრო, როცა ტყეები სავალალო მდგომარეობაშია: მოჭრილი ხეების ტოტებით ჩახერგილი გზები, ნიაღვრისგან წალეკილი ჭალები, დამშრალი წყლები, ასეთი ადგილებია: საგუბრის ჭოლოს ერემჭალის ტერიტორიები, პირწმინდად განადგურებულია წიწვიანი ხეები. ყველაზე დაცული ბუზმარეთის ტყე იყო, რადგან სახელმწიფო საზღვრის შიგნით იყო მოქცეული. ახლა მიმდინარეობს ამ ტყის „ათვისება“. ამას ხელს უწყობს მესაზღვრეთა დაუდევრობა: ნებისმიერ დროს საზღვრის კარს უღებენ ტყის ქურდებს, იმათ კი ეს „მომსახურება“ ძალიან აწყობთ.

ნაციონალების ბატონობის დროს მეტყვევედ მუშაობდნენ გია ჩილინგარაშვილი და ივანე გზირიშვილი, რომლებსაც ყველაზე მეტი ბრალი მიუძღვით ზემოთ ხსენებული ადგილების ტყის გაჩეხვაში. როცა მთავრობაში „ოცნება“ მოვიდა, ეს პიროვნებები იმალებოდნენ, ვაი თუ ჩვენც ციხეში ამოვყოთ თავიო. პირიქით მოხდა, ადიგენის გამგებელმა ზაქარია ენდელაძემ მეტყევედ წოდებული ივანე გზირიშვილი 1300-კომლიან სოფელ უდეს თავკაცად დანიშნა.

რათა გაიადვილონ ხე-ტყის გამოტანა სამანქანო გზამდე, შეიძინეს ცხენები. დაახლოებით 15 კაცია ამ ბრაკონიერთა ჯგუფში, ზოგმა მათგანმა შეშის ზიდვის დროს ადამიანი შეიწირა, თუ დამნაშავეს სასამართლომ ფულადი ჯარიმა დააკისრა, ის თავის ჯიბიდან ერთ თეთრსაც არ გადაიხდის, ისევ ტყიდან შემოსულ ფულს შეიტანს ხოლმე.

ადრეც და ახლაც პირდაპირ სახერხ დაზგასთან არ მიაქვთ ხე-ტყე, სიფრთხილეს იჩენენ, არ შეგვამოწმონო – სოფლიდან მოფარებულ ადგილებში მალავენ, მერე ცოტ-ცოტა მიაქვთ საკუთარ ხერხზე დასახერხად.

სანამ კერძო ხერხი არ იქნება ლიკვიდირებული, ტყეს არაფერი ეშველება.

კომინისტების დროს ერთი კარგი წამოწყება არსებობდა: იყო მუშა ჯგუფი, რომელსაც ევალებოდა ტყიდან უვარგისი, ჭიანი ხეების გატანა, სოფლის გარეთ დიდ მინდორში ყრიდნენ. ნებისმიერ მსურველს შეეძლო დაწესებული თანხის გადახდა და შეშად წაღება. ამით ტყეც იწმინდებოდა ნარჩენებისაგან, თან გლეხს აღარ უხდებოდა ტყეში წასვლა.

გარემოს დაცვის სამინისტროში ისეთი ბარიერია შექმნილი, ახლოს ვერ მიეკარები, რომ აცნობო არსებული მდგომარეობა. ყველას უკვირს, ამ ტყეს პატრონი არ ჰყავსო? მართლაც რომ არავინაა გამკითხავი.

გოგა ხაჩიძე ნაციონალებმა დანიშნეს სამცხე-ჯავახეთის გუბერნატორად, შემდეგ გარემოს დაცვის მინისტრად, იმ ხნიდან მოყოლებული დღესაც მიმდინარეობს ტყეების განადგურება, ხაჩიძე პარლამენტში კი არა, ციხეში უნდა იჯდეს.

ნუთუ მთავრობამ, სამართალდამცავებმა არ იციან, რა ხდება ადიგენის, კერძოდ, უდეს ტერიტორიაზე არსებულ ტყეების გაჩეხვასთან დაკავშირებით?

ჯერ არავინ დასჯილა, თუმცა, რა თანხაც გინდა შეაწერო, გადაიხდიან, რადგან ასჯერ მეტი აღებული აქვთ. ასე რომ, ამ ხალხს აშკარად ვიღაც მფარველი ჰყავს „ზევით“.

გ. აბულაძე, მ. მერაბიშვილი, თ. თათოშვილი, ო. მერაბიშვილი.

საერთო-სახალხო ქველმოქმედებაგე უარს არავინ იტყვის!

საქართველოს პრეზიდენტს გიორგი მარგველაშვილს
საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს დავით უსუფაშვილს

მთავრდება საქართველოს მთის კანონის პროექტი შემუშავება-შედგენა. იქნებ პარლამენტში განხილვამდე გაეცნოთ მას და შეეცადოთ მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური პირობების (ხელფასების, პენსიების გაზრდა, გადასახადების შემცირება და სხვა) გაუმჯობესებასთან ერთად. არ გამოგვრჩეს მაღალმთიანი სოფლებსი მუდმივ საცხოვრებლად დამბრუნებლებისთვის ყველაზე აუცილებელი რამის – საცხოვრებელი სახლის ასენებისა და მათთვის უფასოდ გადაცემის ვალდებუელბის შეტანა. მათვე, სახლთან ერთად, უფასოდ უნდა გადაეცეთ 2 ფური და 5 დედაცხვარი.

ამ ჯგუფში უნდა შევიდნენ:

ადამიანები, რომლებიც (ასაკის მიუხედავად) ბარის სოფლებიდან ცოლ-შვილით მუდმივ საცხოვრებლად ბრუნდებიან მაღალმთიან სოფლებში.

ახალგაზრდა წყვილები (ქალ-ვაჟი), რომელთაც გადაწყვიტეს შექმნან ოჯახის და დარჩნენ მშობლიურ, მაღალმთიან სოფლებში საცხოვრებლად.

მაღალმთიან სოფლებში ცხოვრობენ მრავალშვილიანი ოჯახებიც, რომელთაც 3-დან 10-მდე შვილი ჰყავთ (მაგალითად, დუშეთის რ-ის სოფელ შუაფხოში ცხოვრობს ზაზა ჯაბანიშვილისა და ირმა ცქიფაშვილის ოჯახი, რომელსაც დღეს ჰყავს 9 შვილი. სამწუხაროდ, საცხოვრებელი სახლებისა და პირუტყვის შესაბამის მოსახლეობაზე უფასოდ გადაცემის საკითხის დადებითაც გადაწყვეტაზე უარს ამბობს მთის კანონის პროექტის შემმუშავებელი დღეს მოქმედი კომისა. იგი ამას ქვეყანაში ფულადი სახსრებსი უქონლობით, სიმცირით ხსნის...

ჩვენ ამ საპროექტო კომისიის ასეთი გადაწყვეტილება არ მიგვაჩნია სწორად, ობიექტურად.

ამიტომაც მოგმართავთ თქვენ მისი განხილვისა და დადებითად გადაჭრისათვის. ჯერ ერთი: საქართველოს ეკონომიკას ისე არ უჭირს, რომ მთის კანონის განხორციელებისთვის ვერ გამონახოს და ვერ გამოყოს სულ ცოტა 25-30 მილიონი ლარი 10-12 მაღალმთიანი რეგიონის სოფლებსი გარკვეული რაოდენობის საცხოვრებელი სახლების მშენებლობისა და სათანადო პირუტყვის შეძენა-გადაცემისათვის. ამასთანავე, საქპროექტო კომისიას ისეიც ვთხოვეთ, რომ კანონში სახელმწიფო ბიუჯეტის ყველა მონაწილე ვალდებული გაეხადათ – ყოველწლიურად მთის კანონის სასარგებლოდ გამოეყო საერთო თანხის მხოლოდ 1 პროცენტი. ეს საკმაოდ სოლიდური დახმარება იქნებოდა. ჩვენ არ გვგონია, რომ ბიუჯეტის რომელიმე მონაწილემ, პირობნება იქნება იგი თუ ორგანიზაცია, უარი თქვას ამ საერთო სახალხო ქველმოქმედებაზე.

დასასრულ მინდა, ხაზი გავუსვა იმ გარემოებას, რომ ახლა საქართველოს ეძლევა ბრწყინვალე შესაძლებლობა: ბიუჯეტის სათანადო ზრდის საფუძველზე ჩვენს თვალწინ განხორციელება დაიწყოს მთის კანონმა. იგი ხომ ფაქტობრივად ქვეყნის ტერიტორიის სამ მეოთხედს მოიცავს!

ბატონებო, ჩვენი თხოვნაა, დადებითად გადაწყვიტოთ წარმოდგენილი საკითხი და ამით მხარში ამოუდგეთ საქართველოს, მის მომავალს!

პატივისცემით:

ხვთისავარ არჩემაშვილი,

დავით ფოფკოლაური,
სოლომონ მახაური,
პროფესორები, ფშავის აღორძინება-განვითარების არასამთავრობო კავშირის აქტივისტები.

ვაჟა ხატობასა და ქორწილში

(გიორგი გარსევანიშვილის ნაამბობი)



მამაჩემთან – მჭედელა გარსევანიშვილთან ვაჟამ ხშირად იცოდა მოსვლა.

ჩვენს გადმოსწვრივ ღვთისმშობლის ხატი იყო. ხატობას არ დააკლდებოდა არასდროს.

ჩარგალს ხატობაში რომ მოვიდოდა, შემოდგებოდა სალუდის კარზე და მაღალი ხმით გვეტყოდა ხოლმე: წყალობა ხატისა, გამარჯვებათ თქვენი, აჰა, დაჭერით ეს ქადა-პურიო.

საწირავს ხევისბერს გადააწვდიდა, თვითონ ქუდს მოიხდიდა, თავის სწორებთან ჩამოჯდებოდა და ჩაებმებოდა საუბარში.

თუ რაიმე საინტერესო ხალხურ თქმულებას ან ლექსს გაიგონებდა, მაშინვე ჩაიწერდა.

ვაჟას ლუდი უყვარდა. დასტურებიც დიდი სასმისებით ჩამოარიგებდნენ ხოლმე ლუდს, ჯერ უფროს კაცებს მიართმევდნენ, შემდეგ კი – უმცროსებს. ვაჟაც, ფშაური წესით უწინ ხატის სადიდებელს დალევდა, მერე – დასტურების სადღეგრძელოს. არც დათვრებოდა ისე, რომ რამე უზრდელი სიტყვა ეთქვა ან ურიგო საქციელი ჩაედინა. დასათრობად არ დალევდა, ფეხი არ აერეოდა.

როცა სასმელს და ხალხში ყოფნას მოიყირჭებდა და დაატყობდა, რომ უკვე წასვლის დრო იყო, მაშინვე წამოდგებოდა შინ წასასვლელად. ძალიან რომ ეხვეწნათ, მაინც არ დადგებოდა. გასწევდა და წავიდოდა შინისკენ. ყველაფერი ზომაზე უყვარდა.

ერთხელ ჩარგალში, ბასილაანთან ვართ. ქორწილი იყო, უცებ ჩხუბი ატყდა. ერთი ფშაველი, სახელად ლეგა, ვაჟკაცობას იჩემებდა და თავმოწონებით ვაჟის მაყრებს ჩხუბში იწვევდა. მის წინააღმდეგ კარახელას ბიჭი, ივანე მოლოდინაშვილი, გავიდა საჩხუბრად. ჩხუბის გამო ხალხი ერთიმეორეში აირია. ლეგა ხუთგან იყო დაჭრილი თავში. ივანეს კი არაფერი არ სჭირდა.

ხმა გავარდა: ვაჟა მოდისო! გაიგონეს თუ არა ვაჟას სახელი, ხმაური იმ წუთშივე მიწყდა. მოჩხუბრები ძალაუნებურად დამშვიდდნენ.

ხალხს დიდი ხათრი ჰქონდა ვაჟასი. ანგარიშს უწევდა მას. ხალხი ვაჟას მეტად აფასებდა, რაღაც ძალას გრძნობდა მასში, სხვანაირ კაცად მიაჩნდა, სხვანაირი რწმენით შეჰყურებდა.

ფიგნიდან
„მამაჩემი ვაჟა-ფშაველა“

ომარ მარუქაშვილი

იმედის თვალით შემოგყურებთ წელო ახალო!

აღარც ფარნავაზ, აღარც ფარსმან,
არც გორგასალი,
ფუძე მოირღვა, დაიბზარა
კლდეები სალი!
აღარც გიორგი, აღარც დავით,
აღარც თამარი,
ვინ გადაგვიჭრა, ჰაი დედას
ძარღვი მთავარი?
აღარც ცოტნეა, არც თევდორე,
აღარც დემეტრე,
ვინც დავაპურეთ, შევიფარეთ
ისევ ჩვენ გვემტრნენ,
აღარც გიორგი სააკაძე
აღარც ბიძინა,
ძარღვებში სისხლი რამ გაყინა?
რად მიიძინა?
აღარც ერეკლე-კახთა მეფე
დიდი სარდალი,
აღარც 300 არაგველი
აღარსად არი!..
აღარც ილია, ბრძენთა ბრძენი
მამა ერისა,
ცა, მოსარკული, მოიქუფრა,
გადაგვენისლა,
არც კოხტა გორა, არც
დიდგორი, აღარც შამქორი,
საით მივდივართ?
რატომ ვხვდებით შვილთ
ჩასაქოლი?!
არც საინგილო, აღარც ტაო,
აღარც კლარჯეთი,
არც აფხაზეთი, სამაჩაბლო
(როგორც ასეთი),
კვლავ ასაღები დაგვრჩენია
ციხე-ქალაქეთის!..
იმედის თვალით შემოგყურებთ
წელო-ახალო,
შენ გეგედრებით, ყოვლის შემძლევ
ღმრეთო მაღალო!
გენი ჩვენი და სისხლი ჩვენი
აამჩქეფარო,
მიმოფანტულნი, დაქსაქსულნი
ერთად შეგვყარო
და დაგვიბრუნო ჟამი წინსვლის,
ჟამი შენების,
გვაშორე საფრთხე
ზნეობრივი გადაშენების.
მოგვმადლე ნიჭი ერთმანეთის
ნდობა, გატანის,
როცა ერთად ვართ
უნარიც გვაქვს
ლელოს გატანის!...

პროფესიის დიდი სიყვარული...

„პროფესია, რომელიც უდიდეს სიყვარულსა და თავის შეწირვას ითხოვს შენგან"

საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტის – ქალბატონი მარინე ზედელაშვილის ჟურნალისტური საქმიანობა, უკვე 36 წელია, ახალციხესთან არის დაკავშირებული. იგი აქტიურად არის ჩართული რეგიონში მიმდინარე საზოგადოებრივ პროცესებში.

– ქალბატონო მარინე, როგორც ვიცით, თქვენი პირველი არჩევანი ასტრონომია იყო. როგორ მოხვდით შემდეგ ჟურნალისტიკაში?

– მე თორმეტი წელი გავატარე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. პირველი ექვსი წელი მოხმარდა ასტრონომიის შესწავლას. ისე, როგორც ბავშვების უმრავლოსობა, მეოცნებე და რომანტიკოსი ვიყავი. მაინტერესებდა ვარსკვლავთ სამყარო, ციური მოვლენები; მკლავდა ცნობისმოყვარეობა, გამეგო, რა ხდებოდა იქ, ზევით... სოფელში, პურის საცხობ თონეზე გაწყობილ ფიცრებზე მოკალათებული ან ეკლესიის ნანგრევებთან მიმჯდარი შევყურებდი ვარკვლავებით გადაჭედილ ცას, მთვარის სხივებით განათებულ ალაზნის ველს და მივყვებოდი უსასრულო ფიქრს – რატომ წყდებოდა ცას ვარსკვლავი, რა იწვევდა მზის დაბნელებას და ათას სხვა რამეს, რის შესახებაც საფუძლიან ცოდნას არ გვაძლევდა სკოლაში ფრაგმენტულად გავლილი ასტრონომიის გაკვეთილები... მაპატიეთ, ცოტა შორს გავიჭერი... გაგიმხელთ, 28 წლის ვიყავი, როდესაც ჩემს მშობლიურ უნივერსიტეტში ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე ჩავბარე. როგორც პირველი სტუდენტობა, ეს პერიოდიც ჩემთვის არაჩვეულებრივი – სტუდენტური ცხოვრებით, პროფესორ-მასწავლებლებით, მეგობრებით... ამ დროიდან მე უკვე შეყვარებული ვიყავი ჟურნალისტიკაზე, ამ სიყვარულს მიმძაფრებდნენ ჩემი სათაყვანებელი პროფესორიები, რომლებსაც დიდი გულისყურით ვუსმენდი, ვუსმენდი და ვეწაფებოდი ცოდნას. უნივერსიტეტის შემდეგ ჩემი საყვარელი ადგილი იყო საჯარო ბიბლიოთეკა (ამჟამად – ეროვნული ბიბლიოთეკა). ეს იყო დრო საერთო განვითარებისა და თვალსაწიერის გაფართოების. აი, ასე მოვხვდი ჟურნალისტიკაში.

– როგორ დაიწყო თქვენი ჟურნალისტური საქმიანობა ახალციხეში?

– ახალციხემდე უფრო ადრე დავიწყე ჟურნალისტური საქმიანობა, ჟურნალისტიკის ფაკულტეტის დამთავრებისთანავე, 1974 წელს. ვმუშაობდი რუსთავის საქალაქო გაზეთში, თბილისის ადგილობრივი რადიომაუწყებლობის რედაქციაში. 1978 წელს დაოჯახებამ განსაზღვრა ჩემი ცხოვრების დაკავშირება

ახალციხესთან. სტატიებს ვბეჭდავდი რაიონულ გაზეთში, ხოლო 1985 წელს მიმიწვიეს ადიგენის რაიონული გაზეთის რედაქტორად. შემდეგ დაარსდა სამხარეო გაზეთი – „სამცხე-ჯავახეთი", რომლის რედაქტორადაც მიმიწვიეს 1995 წელს. ამავდროულად, კითხულობდი ლექციებს თსუ ახალციხის ფილიალში (ამჟამად სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი) ჟურნალისტიკის განყოფილების სტუდენტებთან და მოგვიანებით, ვრედაქტორობდი გაზეთს - „მესხეთის უნივერსიტეტი". დღემდე ასე მოვდივარ.

– თქვენი აზრით, რა ხიბლი აქვს ჟურნალისტიკას? გვესაუბრეთ მის დადებით და უარყოფით მხარეებზე.

– ჟურნალისტიკა განსაკუთრებული სფეროა, რამდენადაც ძალიან მნიშვნელვან საქმეს აკეთებს საზოგადოებისათვის. აბა, ერთი წუთით წარმოვიდგინოთ საზოგადოება საინფორმაციო საშუალებების გარეშე; ხომ ძნელია ამაზე ფიქრი?! სხვა თემაა, რა სიმაღლეზე დგანან ჟურნალისტები. თუმცა, მაინც ვიტყვი ზოგიერთთა საყურადღებოდ, ვინც ძალიან განიცდის ჟურნალისტთა მომზადების დონეს – ჩვენს ქვეყანაში ჟურნალისტებიც იმ დონეზე დგანან, როგორზეც იურისტები, ისტორიკოსები, ეკონომისტები, მედიკოსები და ასე უსასრულოდ.

თქვენ ჟურნალისტიკის ხიბლზე მეკითხებით. ძალიან მომხიბლავი პროფესიაა, მომხიბლავი, მაგრამ ისეთი, რომელიც უდიდეს სიყვარულს, ენერგიას, თავდადებას, თითქმის თავის შეწირვას ითხოვს შენგან, სადაც უნდა წახვიდე, სტუმრადაც კი, შენ არ აღგიქვამენ კერძო პირად, შენ ჟურნალისტი ხარ და აღგიქვამენ იმ პერიოდული ორგანოს, რადიოსა თუ ტელევიზიის წარმომადგენლად, სადაც მუშაობ. ეს ძალიან მომხიბლავი შეგრძნებაა, გარკვეულ იმიჯს გიქმნის და ამავე დროს, დიდ პასუხისმგებლობას განიჭებს, ეს ყოველთვის უნდა გახსოვდეს.

რაც შეეხება ჟურნალისტიკის დადებით მხარეს, თავად მის არსებობაშია მისი სიკეთე. უარყოფითზე რა ვთქვა, არ ვიცი. პროფესიას, ჩემი აზრით, არ შეიძლება ჰქონდეს უარყოფითი მხარე. მაგრამ თუ, მაინცდამაინც, ჩავეძიებით, ალბათ, ის არის უარყოფითი, რასაც იწვევს არარეგლამენტირებული სამუშაო დრო, უძილო ღამეები, ხშირად დაძაბული ურთიერთობები.

– საუნივერსიტეტო ცხოვრებას ასახავს ის გაზეთი, რომლის რედაქტორიც ბრძანდებით. რამდენად საინტერესოა თქვენთვის სტუდენტურ გარემოში მუშაობა?

– გაზეთში მუშაობასთან ერთად, ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე, როგორც უკვე აღვნიშნე, ვკითხულობდი ლექციებს ჟურნალისტიკის სპეციალობის სტუდენტებთან. ასეთი ურთიერთობები პირადადაც მამდიდრებდა და ვფიქრობ, სტუდენტებისთვისაც სასარგებლო იყო.

სტუდენტები გაზეთის რედკოლეგიის წევრები არიან და თავად ქმნიან, ძალიან აქტიურადაც, ამ გვერდებისათვის მასალებს და სწავლობენ საგაზეთო საქმეს. ამჯერადაც, როდესაც მხოლოდ გაზეთით ვარ დაკავებული, გრძელდება მათთან საქმიანი და კეთილმოსურნე ურთიერთობები.

– რა რჩევებს მოგვცემთ მომავალ ჟურნალისტებს?

– თქვენ მშვენივრად იცით ის პრინციპები, ეთიკის ნორმები, რასაც უნდა მისდიოს ჟურნალისტმა. მე მხოლოდ იმას შეგახსენებთ, რომ უნივერსიტეტში უნდა მიიღოთ ცოდნა, რაც არის საფუძველი პროფესიონალიზმად ჩამოყალიბებისათვის. ემსახურეთ მხოლოდ სიმართლეს და არასოდეს იცრუოთ!

ნატო ინასარიძე

ჟურნალისტიკის მაინორ პროგრამის მე-4 კურსი

ჟურნალისტიკა ჩემი ჰობია

ერთი ჩვეულებრივი დღე იყო, არაფრით გამორჩეული სხვებისაგან. საათი მალე 12-ს ჩამოჰკრავდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ ლექციის დაწყების დრო ახლოვდებოდა. ნელი ნაბიჯით ავიარე სამი სართული და სუნთქვაგახშირებულმა შევაბიჯე აუდიტორიაში. უცბად თვალში უცნობი ახალგაზრდა ბიჭი მომხვდა, რომელიც პირველად ესწრებოდა ლექციას. მისი პიროვნებით, როგორც შემდგომ აღმოჩნდა, მხოლოდ მე არ დავინტერესებულვარ, ლექტორმა მას გამოკითხა ვინაობა და გავიგე, რომ ჟურნალისტიკის ლექციაზე ერთ ჯგუფში ვყოფილვართ, მან კი მხოლოდ ახლა „გამოანათა ახალ მთვარესავით". საინტერესო პიროვნებად მომეჩვენა. ამიტომ გადავწყვიტე, მასზე მეტი რამ გამეგო.

საბა ხარაიშვილი 20 წლისაა და სამხედრო სამსახურში მსახურობს, ამიტომ ვერ მოვახერხეთ თავისუფალი დღის გამონახვა. მთელი კვირა მის დევნაში გავატარე; დღეს კი, სრულიად მოულოდნელად, გადავაწყდი მას უნივერსიტეტის ეზოში. დრო ვიხელთე, უცებ მივეჭერი და ჩემთვის სანატრელი ინტერვიუს ჩაწერა დავიწყე.

– ადიგენის რაიონში, სოფელ ბოლაჯურში დავიბადე. სკოლაში ნიჭიერებით გამორჩეული ბავშვი ვიყავი. რამდენიმე დიპლომი მაქვს აღებული და კომპიუტერიც თვით პრეზიდენტისაგან წარჩინებული სწავლისთვის. სკოლის პერიოდში გავყევი რაგბის თამაშს, მონაწილეობას ვღებულობდი ფესტივალებში, ვთამაშობდი ასპინძის გუნდში, მესხეთში, სადაც კი შეიძლებოდა, ყველგან. სკოლის დამთავრების შემდეგ ჩავბარე უნივერსიტეტში, ისტორიულზე.

– ალბათ, სკოლაში ისტორია ძალიან გიყვარდა.

– არა, მისაღებ გამოცდებზე უბრალოდ მე-5 საგნად ჩავწერე და მოვხვდი ამ სპეციალობაზე, ახლა მომწონს კიდეც.

– რომელ ფაკულტეტზე გინდოდა ჩაბარება?

– მინდოდა ბიზნეს ადმინისტრირებაზე, მაგრამ არ გამიმართლა. თუმცა, ამჯერად უკმაყოფილო არ ვარ, თანაც, მეორე სპეციალობად ჟურნალისტიკა ავირჩიე.

– რატომ ჟურნალისტიკა?

– ჟურნალისტიკა ჩემი ჰობია, ბავშვობიდან ლექსებს და ჩანახატებს ვწერდი. ახლაც, მუზა როდესაც მოფრინდება, ვწერ. საერთოდ, ჩემში ყოველთვის დიდ ინტერესს იწვევდა ეს სფერო. იგი მაკავშირებელი რგოლია ხალხსა და ხელისუფლებას შორის, რომელიც პროფესიონალების წყალობით ობიექტურ ინფორმაციას აწვდის მოქალაქეებს. ჩემი აზრით, ეს ის პროფესიაა, რომელიც რჩეულთა ხვედრია.

საბა მრავალმხრივი და საინტერესო ადამიანია. მის რამდენიმე ჩანახატს გავეცანი, გამაკვირვა მისმა ხელნაწერებმა და ლამაზად ჩაწიკწიკებულმა ასოებმა. საბა თავისი კალიგრაფიით ამაყობს კიდეც.

– მეოთხე კლასში ვიყავი, როდესაც ჩემი ნაწერები თბილისში გაიგზავნა, როგორც საუკეთესო კალიგრაფიის მქონე მოსწავლისა. ლამაზად წერა დედამ მასწავლა, სკოლაშიც არაჩვეულებრივი ქართულის მასწავლებელი ნათელა კაჭკაჭაშვილი მასწავლიდა და სწორედ მისი დამსახურებაა ლიტერატურის და წიგნის



კითხვა რომ მიყვარს.

რაც გიამბეთ, ეს ყველაფერი არ არის საბას შესახებ. როგორც უკვე აღვნიშნე, იგი სამხედრო სამსახურშია და თავის სამშობლოს დაცვას ემსახურება.

– პრეზიდენტის ბრძანებულება იყო – ვინც გაივლიდა სავალდებულო სამსახურს უფინანსდებოდა 4 წლიანი სწავლება. წავედი, მოვიარე სავალდებულო და სწავლაც სრულიად დამიფინანსეს.

– საბა, შენ სამხედრო სამსახურში სპორტს დიდ ყურადღებას უთმობ და რაგბის გუნდის წევრი ხარ.

– ყველა ბრიგადას ჰგავს თავისი გუნდი ე.წ. „შვიდკაცა". თავდაცვის სამინისტროდან მოვიდნენ, გვათამაშეს შესარჩევი თამაში, შეგვაფასეს და ამის მიხედვით ამირჩიეს გუნდის წევრად. სპორტი ჩემი ცხოვრების მიზანია და დრო თითქმის არ მრჩება, მაგრამ ამის მიუხედავად მაინც ვახერხებ უნივერსიტეტში სიარულს და ლექციებზე დასწრებას.

– სამომავლოდ თუ გაქვს რაიმე გეგმები?

– პირველ რიგში, დიპლომის აღება მინდა, შემდგომ კი საფრანგეთში ვგეგმავ წასვლას სპორტის განხრით.

ინტერვიუ დიდხანს გაგრძელდა, თუმცა, საბას ძალიან ეჩქარებოდა. ბოლოს ღიმილით დამემშვიდობა და თავის ჩანაწერები დამიტოვა, რომლებიც „სამსჯავროზე" გამომაქვს.

მარიამ ნარიმანიძე

მაინორ პროგრამა ჟურნალისტიკა, მე-2 კურსი

ბოლო გვერდი

ცნობარი

ქაქუცა ჩოლოყაშვილი

საქართველოს ეროვნული გმირი, **ქაქუცა ჩოლოყაშვილი** 1888 წლის 14 ივლისს, კახეთში, სოფელ მატანში (ახმეტის რაიონი) დაიბადა. 1907 წელს დაამთავრა თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზია.

იგი 21 წლის გაიწვევს ჯარში. 1912 წელს გათავისუფლდა სამხედრო სამსახურიდან და საქართველოში დაბრუნდა. პირველი მსოფლიო ომის დაწყებისთანავე, კვლავ გაიწვიეს ჯარში და სარაყამიშის ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობისათვის დააჯილდოვეს ოქროს ხმლით.

1915 წელს ქაქუცა ჩოლოყაშვილი ახალდადგუნებულ საქართველოს ცხენოსანთა რაზმში ჩაეწერა.

1917 წელს, თებერვლის რევოლუციის შემდეგ დაბრუნდა საქართველოში და შევიდა ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიაში. 1918 წელს, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ჩოლოყაშვილი საქართველოს არმიის პოლკოვნიკი გახდა და მონაწილეობდა ქართული კავალერიის ჩამოყალიბებაში. 1919 წელს საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილეა.

1922 წლის ივნისში ქაქუცა ჩოლოყაშვილი თავის რაზმთან (შეფიცულებთან) ერთად პირველად შეება წითელ ჯარს, რამაც დასაბამი მისცა საქართველოს მრავალწლიან ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის.

1924 წელს დაწყებულმა აჯანყებამ მარცხი განიცადა, ქაქუცა იძულებული გახდა თავისი რაზმით საფრანგეთში გადახვეწილიყო.

1930 წლის 27 ივნისს ქაქუცა ჩოლოყაშვილი ტუბერკულიოზით გარდაიცვალა.

2005 წლის 21 ნოემბერს ქაქუცა ჩოლოყაშვილის ნეშტი თბილისში გადმოასვენეს. დაკრძალულია მთაწმინდის პანთეონში.

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა გამოუშვა 200 ლარიანი კუპიურა რომელზეც ქაქუცა ჩოლოყაშვილის პორტრეტია გამოსახული.

გაბრიელ (ცისკო) ცისკარიშვილი

დაიბადა 1892 წელს სოფელ ზემო ალვანში, პედაგოგის (თელავის საქალაქო სკოლის დირექტორის) დიმიტრი გაბრიელის ძე ცისკარიშვილის ოჯახში. გაბრიელმა დაწყებითი განათლება სწორედ ამ სკოლაში მიიღო, შემდეგ კი გადავიდა თბილისის მე-3 გიმნაზიაში, რომელიც 1912 წელს დაამთავრა.

იმავე წელს გაემგზავრა ქალაქ მოსკოვში, ჩააბარა გამოცდები იქაურ უნივერსიტეტში და ჩაირიცხა ფილოსოფიის ფაკულტეტზე. გაბრიელი ჩასვლისთანავე ჩაება სტუდენტურ მოძრაობაში. იგი ბეჯით და სწავლისმოყვარულ სტუდენტად ითვლებოდა. სტუდენტობის ხანაში უსახსრობის გამო უხდებოდა რეპეტიტორობა. გაბრიელი გამოირჩეოდა თავისი სამშობლოს – საქართველოს განსაკუთრებული სიყვარულით. მისი თანაკურსელი, შემდგომ მრავალ ჭირსა და ვარამს გამოვლილი **შალვა მაღლაკელიძე** იხსენებდა: „რუსეთის უნივერსიტეტის, ისევე როგორც სხვა სასწავლებლის სტუდენტები იმ დროს მუდამ სამხედრო ყაიდაზე შეკერილ ფორმებში უნდა ყოფილიყვნენ გამოწყობილნი. გაბრიელი ფორმის კიტელზე დამატებით ქართულ შევერცხლილ ქამარს შემოიჭერდა ხოლმე, რის გამოც მუდმივი უსიამოვნება ჰქონდა დეკანთან და პედაგოგებთან, მაგრამ, მიუხედავად, მრავალგზის გაფრთხილებისა და სასჯელისა, იგი ვერაფრით გატეხეს და ჩვეულება ვერ მოაშლევინეს“. თუმცა ცოტა ხანში „ზედმეტი აქტიურობისათვის“ გაბრიელი უნივერსიტეტიდან გარიცხეს. მისი აღდგენა მოსკოვში მოღვაწე მსახიობი ქალის ბარბარა ალექსი-მესხიშვილის დახმარებით მოხერხდა. მაგრამ, როგორც ჩანს, გაბრიელს არ ეწერა უნივერსიტეტის დამთავრება – მეოთხე კურსის დამთავრების შემდეგ იგი 1917 წელს საქართველოში დაბრუნდა, რადგან რუსეთში არეულობა დაიწყო და ამ დროს სამშობლოს მოყვარული კაცი სამშობლოში უნდა ყოფილიყო. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღიდან იგი პოლიტიკურ მოღვაწეობაში ჩაება და გახდა დამფუძნებელი კრების წევრი, ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აქტზე.

1918 წლის დეკემბერში სომხეთის საქართველოზე თავდასხმის დროს ის ქართულ ჯარში იმყოფებოდა და თავისი წვლილი შეიტანა მომხდურთა ქვეყნის ფარგლებს გარეთ გაძევებაში.

ბოლშევიკური რუსეთის აგრესიის პერიოდში (1922 წლის თებერვალ-მარტში) იმყოფებოდა კვლავ მოქმედ არმიაში. ლაგოდეხთან ბრძოლების დროს იგი ფილტვში დაიჭრა და გამოჯანმრთელებამდე სოფელ ზემო ალვანში იმყოფებოდა. 1922 წლიდან კვლავ თბილისშია და აგრძელებს პოლიტიკურ მოღვაწეობას, ცხადია უკვე არალეგალურს. არჩეული იყო საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ აჯანყების მოსამზადებელი პარიტეტული კომიტეტის წევრად. 1923 წელს „ჩეკამ“ დააპატიმრა და სხვა პატიმრებთან ერთად მეტეხის ციხეში გამოამწყვდია. 1924 წლის აგვისტოს ცნობილი აჯანყების დროს იგი დახვრიტეს (30 აგვისტოს), რა თქმა უნდა გაუსამართლებლად. გაბრიელ (ცისკო) ცისკარიშვილი 1924 წლის 31 აგვისტოს გამოქვეყნებულ დახვრეტილთა სიაში მე-16 იყო.

ადამ ბობღიაშვილი

ცნობილი „სამანელი“ პოეტი **ადამ ბობღიაშვილი** დაიბადა სოფელ ზემო ალვანში.

ბობღიაშვილები თუშეთში, კერძოდ კი წოვათაში ცხოვრობდნენ, სოფელ ინდურთაში. იქ დაიბადა ადამის მამაც – იასონ ბობღიაშვილი, რომელიც 1905 წლის რევოლუციაში მონაწილეობდა.

ადამმა შვიდწლედი თელავში, ნადიკვართან არსებულ სკოლაში დაამთავრა. მე-9 კლასში იყო, თელავის თეატრში რამდენიმე როლი რომ შეასრულა. სკოლის დასრულების შემდეგ სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

სადაც სწავლისას მან და მისმა მეგობარმა მიხეილ იმედიძემ ჩამოაყალიბეს ანტისაბჭოური ორგანიზაცია „სამანი“, რომელიც ასე იშიფრებოდა: „საქართველოს აყვავებისათვის მებრძოლი ახალგაზრდული ნაციონალისტები“. ერთ-ერთი მძლავრი ორგანიზაცია თუშეთშიც მოქმედებდა, მაგრამ შეთქმულები თბილისში გასცეს. 1942 წლის 17 ოქტომბერს ამ ორგანიზაციის 17 ახალგაზრდა დახვრიტეს, მათ შორის უნივერსიტეტის 12 ასპირანტი და ერთი სტუდენტი. ადამ ბობღიაშვილი ხელიდან გაუსხლტა ჯალათებს, მაგრამ მთაში ღალატის მსხვერპლი აღმოჩნდა, გასცეს მისი ადგილსამყოფელი და თუშეთში, რამდენიმე თუშ თანამებრძოლთან ერთად თავი მოკვეთეს 1943 წელს. მოკვეთილი თავები თუშ პოეტს სამანელ არჩილ კიტოშვილს აჰკიდეს და სოფელ ისოდან ომალოში ჩაატანინეს.

არჩილ კიტოშვილი

არჩილ კიტოშვილი დაიბადა 1923 წლის 6 ივნისს ახმეტის რაიონის სოფელ ზემო ალვანში. 18 წლის ასაკში ჯარში გაიწვიეს, ამ პერიოდს დაემთხვა მეორე მსოფლიო ომი. შვებულებით შინ დაბრუნებული დედის დაჟინებული თხოვნით გამეწრის ხეობაში დაბანაკებულებმა ვერ შენიშნეს მტერი, რომელმაც მათ ადგილსამყოფელს ადვილად მიაგნო. იმიტომ, რომ სამწუხაროდ, შინგნიდანაც გამოჩნდნენ ხორცისა და სისხლის გამყიდველები. დამბეზღებლები და სასტიკად აწამეს ყველა, გარდა, 20 წლის არჩილისა, თავები მოაჭრეს ყველას და არჩილს ხურჯინით აჰკიდეს სატარებლად, ხოლო დარჩენილი ნაწილები ხევებში გადაყარეს ყვავ-ყორანთა საჯივჯგნად... ეს იყო 1943 წელი. როგორ არ ეცადნენ მის დაყოლიებას, გადაბირებას უარი ეთქვა თავის იდეებზე და მრწამსზე, სანაცვლოდ სიცოცხლეს ჰპირდებოდნენ, მაგრამ ვერ გატეხეს და მან ვაჟკაცური სიკვდილით ისურვა ამ ქვეყნიდან წასვლა. 1943 წლის მარტში გამოუტანეს სასჯელის უმაღლესი ზომა – სიკვდილი, რომელიც იმავე წლის ოქტომბერში სისრულეში მოიყვანეს.

ბიძინა ჩოლოყაშვილი

„ბახტრიონულმა ომმა“ მტერიც და მოყვარეც ერთხელ კიდევ დაარწმუნა ქართველი ხალხის გაუტეხელობაში, უძლეველობასა და უკვდავებაში“, – ვკითხულობთ დედა ისტორიაში.

რაოდენ საამაყოა თითოეული ახმეტელისათვის იმის განცდა, რომ 1659 წლის ბახტრიონის ცნობილი აჯანყების ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი, ახმეტის მკვიდრი შვილი იყო, რომელმაც თავისი სამაგალითო გმირობითა და სამშობლოსათვის გაუგონარი თავგანწირვით არამარტო საკუთარი პიროვნება უკვდავყო სამარადჟამოდ, საქვეყნოდ გაამზიანა და საქართველოს ისტორიაში ოქროს ასოებით ჩაიწერა ახმეტის სახელიც, რითაც ხელთუქმნელი ძეგლი დაუდგა ახმეტელთა ფასდაუდებელ წვლილს, ღვაწლსა და ამაგს ერისა და ქვეყნის წინაშე.

მართალია, საქართველოს თავისი სამიათასწლოვანი ისტორიის განმავლობაში მრავალი გმირი და გმირთაგმირი ჰყავდა, რომელთაც თავისი მახვილი მომხვდურთა და მოღალატეთა მოგერიებაში გაცვითეს და საკუთარი სიცოცხლე უყოყმანოდ მიიტანეს დედასაქართველოს სამსხვერპლოზე. მაგრამ სულ სხვა იყო ბიძინა ჩოლოყაშვილის თავდადება და თავგანწირვა, რამეთუ ამ ბუმბერაზ ადამიანს ბედმა არგუნა ერისა და ქვეყნისათვის თავდადებულთა და წამებულთა შორის, წამებულთა წამებულის ტვირთი ეტვირთა.

ისევ დედა ისტორიას მოვიშველიებთ: „ - ასოეულებად ასჭრეს და აჰკაფეს „ხოლო უწყლოთა მათ მტავალთა იწყეს რა მოჭრად თვითეულთა ასოთა ყოველნივე თითნი ხელისა და ფეხისანი მოჰკვეთნეს თვითეულად სახსარსახსრად და მერე მაჯა-იდაყვნი და მხარნი და ფეხნი კოჭებიდან მუხლებამდე და ესრეთ თეძონიცა“...

„**ასოეულებად** აჭრილნი და აკაფულნი ისრებით დაცხრილეს, მახვილებით დაჩეხეს, ტყვიებით დახვრიტეს... ბიძინა ჩოლოყაშვილის ნაშთები ევროპელმა კათოლიკე ბერებმა მოიპარეს და იდუმალ დაკრძალეს, სადღაც უცნობ ადგილას“...

მართლაც რომ ბედნიერია ის ერი, რომელსაც ასეთი მამულიშვილები ჰყავს. ორმაგად ბედნიერები არიან ახმეტელები, რომლებიც დიდი ბიძინას ნატერფალ მიწაზე ცხოვრობენ.

იცით თუ არა რომ?!

ახმეტის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 390-მდე ისტორიისა და კულტურის ძეგლია აღრიცხული და გარკვეულწილად შესწავლილი. თუმცა მათი რაოდენობა ბევრად მეტია.

ამ ძეგლებიდან ზოგიერთი მსოფლიო მნიშვნელობისაა თავისი თვითმყოფადი ხუროთმოძღვრული – არქიტექტურული ხელწერით, ასეთთა რიცხვს მიეკუთვნება: მონასტერი-მატნის ცხრაკარა, წმინდა გიორგის სახელობის საყდარი (სოფლის მიმდებარე ტერიტორიაზე), იახსრის სამაროვანი. ეს ძეგლები ჩვ.წ. აღ. მე-4 – მე-5 საუკუნეებს განეკუთვნება.

ალავერდში წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია მე-6 საუკუნის შუა წლებში ააგო ერთმა ასურელმა მამათაგანმა – იოსებ ალავერდელმა, ხოლო მე-11 სკ-ში პატარა ეკლესიის ნაცვლად აშენდა დიდი ტაძარი. აღნიშნული ძეგლი თავისი სიმაღლით ევროპაში მესამე ადგილზეა. მეექვსე საუკუნეს განეკუთვნება, ასევე ქ. ახმეტაში მდებარე ღვთაების ეკლესია.

მე-7 საუკუნეს განეკუთვნება კვირაცხოვლის ეკლესია, რომელიც მდებარეობს სოფელ შახვეტილაში.

მე-8 საუკუნით თარიღდება სოფელ ზემო ალვანში არსებული კვირაცხოვლისა და ნათლისმცემლის ეკლესიები, ისევე როგორც, ბირკიანში ღვთისმშობლის ეკლესია, ციხე-ქალაქი კვეტერა, ეკლესია ოსიაურში, ეკლესია შახვეტილაში, ჭართალაში, ხევისჭალაში, ჯოყოლოში და ბაწარაში.

თუმცა ბევრად ადრეულ ხანას განეკუთვნება სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობები. კერძოდ: ნამოსახლარი სოფელ ზემო ალვანიდან სოფელ ქვემო ალვანში მიმავალი გზის მარცხენა მხარეს, რომელიც განეკუთვნება ადრეულ ბრინჯაოს ხანას.

ძვ. წ. აღ. მეთვრამეტე-მეცხრამეტე საუკუნეებს განეკუთვნება მდინარე ალაზნის მარჯვენა ნაპირზე მდებარე შვინდიანის სამაროვანი.

ძვ. წ. აღ. პირველ საუკუნეს განეკუთვნება ახალდაბისა და ბაყილოვანის სამაროვნები და სოფელ საკობიანოში არსებული სამარხი.

ძვ. წ. აღ. მესამე – მეორე ათასწლეულით თარიღდება სოფელ ზემო ალვანსა და სოფელ ზემო ხალაწანში არსებული სამარხები, ხოლო ძვ.წ. აღ. მეორე-პირველ ათასწლეულებს – ქვემო ხალაწანში, ქისტაურსა და ყვარელწყალში არსებული სამაროვნები.

თუშეთში, სოფელ შენაქოში აღმოჩენილია „ნიშტაყოს“ ნამოსახლარი, რომელიც ძვ. წ. აღ. მეორე ათასწლეულს განეკუთვნება და ამავე სოფელში არსებული სამაროვანი კი ძვ. წ. აღ. VI-V ათასწლეულით თარიღდება.

ომარ მარუქაშვილი

კავკასია

დამფუძნებელი, გამომცემელი
და მთავარი რედაქტორი
იზა ჯაჭვაძე

რედაქტორი
ლაშაგიორგი
ბრავეიშვილი

სარედაქციო კოლეგია: დიანა გიგიაძე, ივანე წიკლაური, ჯუმბერ გოგრიჭიანი, რეზო კობიაშვილი, გიორგი იჩუაიძე, ნუგზარ იდოიძე, ლევან ცალუღელაშვილი, მარინე თექთუმანიძე, ნატა ბორჩაშვილი, ლეილა არჩემაშვილი, გულო კობიაშვილი, გოჩა ხარანაული, მზია ხეთაგური, ომარ მარუქაშვილი.

გაზეთი არ გამოხატავს არც ერთი პოლიტიკური პარტიის ინტერესს, ავტორები თავად აგებენ პასუხს მასალებში შეტანილი ფაქტების სისწორეზე, ავტორთა მოსაზრებები შესაძლოა არ ეთანხმებოდეს რედაქციის პოზიციას. გაზეთიდან მასალის გადაბეჭდვა რედაქციასთან შეუთანხმებლად დაუშვებელია

მისამართი:
კოსტავას ქ.№14
ტელ: 599-79-76-13

დაკაბადონდა
კობა ბედოიძის
დიზაინცენტრში
www.bedoidze.site.ge